

1940

Handwritten text in a red circle, possibly "L. 10000"

ԱՅՅՅՆԻ ՕՂՈՒԾՅ

Handwritten signature or name in red ink

Handwritten text in a red circle, possibly "ԲՆՆՆ
2.12"

1

ՅՄՈՒՆԻՆԻ

1940

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ჩვენნი თაობა

საქართველთს საბჭოთა მწერლების
კავშირის ყოველთვიური ორგანო

18 789

1



სახელმწიფო გამომცემლობა
ტფილისი
1940 წელი იანვარი

შ ი ნ ა რ ს ი:

მხატვრული ლიტერატურა

გიორგი ქუჩიშვილი — ლენინისადმი	33
ასლან ყოჩიაშვილი — ოქროს სირმებით	5
ანდრო თევზაძე — მოსკოვში	7
ვასილ გოჩოლეიშვილი — გორის ღამე	8
კონსტანტინე ლორთქიფანიძე — პირველი დარდი	9
კოლაუ ნადირაძე — წიწამურიდან საგურამომდე	10
ლადო ასათიანი — ძველი ალბომიდან	15
მირზა გელოვანი — უბის წიგნიდან	17
გივი კაჭახიძე — ღმერთი ღუმელში	19
ალეკო შენგელია — სიყვარული	22
ვასო ლორთქიფანიძე — მოვდივარ შენთან	27
კლავდია დევედარიანი — აზნაური	30
ილიკო ქურბული — ჩკალოვს	32
ა. აღვანელი — დედის ბარათი	38
	41

კლასიკური მემკვიდრეობა

მიხეილ ლერმონტოვი — ლტოლვილი	43
მიხეილ ლერმონტოვი — უკანასკნელი დაბინძვება	45

ქ რ ი ტ ი კ ა

გიორგი ლომიძე — ამხანაგი სტალინი გორკის ზღაპრის შესახებ	48
ნიკო გვარაძე — მოგონებანი	55

ლიტერატურული კალენდარი

გ. მ. — ილია ხონელი	59
-------------------------------	----

გიბლიოგრაფია

დამ. ჭეიშვილი — გამოუცდელი მასწავლებელი და მისი ზანდუკელის წიგნი	60
მკითხველი — კოლაუ ნადირაძე — ლექსები	63

პასუხისმგებელი რედაქტორი **ლიმიტრი გენაშვილი**.

პასუხისმგებელი მდივანი **ნიკოლოზ აგიაშვილი**

წარმოებას გადაეცა 11/1-40 წ. ხელმოწ. დასაბეჭდად 3/II-40 წ. ქალ. ზომა 72 X 105. ეურნ. ზომა 7 1/2 X 11. ფორმ. რაოდ. 4. შეკვეთის № 83. მთავლ. რწმუნ. № 1511. ტირაჟი 3500.

სახელგამის პოლიგრაფიული კომბინატის სტამბა: ეორჯის ქ. № 5.



3. 336060

ქნაპკრული ღიპქიპტუქიპ

გიორგი ქუჩიშვილი

ლენინისადმი

მავზოლეუმში სძინავს
დიდ ლენინს,
სძინავს უმძაფრეს
ბრძოლებში დაღლილს.
ლენინიზმი კი,
სხივმოხილ რწმენით
წინ გვიძღვის, როგორც
მზის ბაირალი!
მარად მაღალი
სახელი: ლენინ!
ხალხთ ისე უყვართ,
ისე დიდია,
რომ ვერ აბრკოლებთ
მათ გზა სიძნელის
და განუხრელად
სულ წინ მიდიან!
ვერც შეფერხდება
მსვლელობა მათი,
შენდამი ფიცით
აღინთნენ, ლენინ.
შენ ჩვენთან ივლი
მარად შუქმნათი
და დიდ აღმართებს
გადვივლით ლხენით!
გადვივლით!
რადგან უკან დახევა
არა სჩვევია
შენს ნაცად სტალინს!
ძველი სამყარო
იძვრის, ირყევა,
ისე მიგვიძღვის
იგი სარდალი!

ის, ვინც ჩვენ შრომის
გმირებად გვზრდიდა,
ვინც დიდ ბრძოლების
ცეცხლში გვაწრთობდა,
ვინც შინ თუ გარეთ
მტერთ შიშსა გვრიდა
და მედგარ დარტყმით
სრესავდა, სპობდა, —
ის ს ტ ა ლ ი ნ ი ა!...

მისი ხსენებით
ვიმარჯვებთ ყველგან,
ვიღებთ მწვერვალებს
და გმირ პილოტთა
შორს გაფრენებით
ვიმორჩილებთ მკაცრ
ბუნების ძალებს!

(დღეს არქტიკაშიც
მზიურ შვენებით
საბჭოთა დროშა
ლაღად ფრიალებს!)

ლენინს კი სძინავს...
სძინავს მზე-ლენინს...

სძინავს მეტყველურ
დიად სიმშვიდით
და მის გზის გამგრძობს,
ნუგეშად შთენილს,
კვლავ მედგრად მიჰყავს
ხომალდი დიდი!

ოქროს სიკვებით

იყო აპრილის შუადღე წყნარი —
ულონო ნიაცს სითბო ერია,
გადაშლილ ნოხზე ქართველი ქალი
ოქროს სირმებით ქსოვდა გენიოსს.
თითებს ჟონავდა აზრი ნათელი,
განძს ახვავებდა მისი მარჯვენა.
თვალეზში ედგა როგორც სანთელი —
ჟრუანტელი და ცეცხლის გაჩენა.
იგი მთელი დღე სიხარულს შლიდა,
ნოხზე მოხატულ ოქროს ნათესით,
როგორ აკონა, მიკვირდა დიდად,
მარგალიტები უძვირფასესი.
მზე ჩაიფერფლა, გადარჩა მხოლოდ
შუქი და ჩვენი განცდის მზეობა.
დიდი სტალინი — დასწერა ბოლოს,
ჩემი და ქვეყნის კეთილდღეობა.

მოსკოვი

ლამე არის და ქლაქი
სჩანს მოწმენდილ ზეცის გვარად
ან ამდენი ვარსკვლავები
ცამ ძირს როგორ ჩამოყარა?

ვარსკვლავები ყველა აქ სჩანს,
ნეტავ ზეცას რაღა დარჩა?

ხანძარივით მოსჩანს კრემლი
მთელი ჩვენი ქვეყნის გული
და ბელადის თვალეზივით
ზედ ვარსკვლავნი ანთებულნი.

ზღვა მეგონა, როცა ვნახეთ,
ვოლგას არხის საგუბარი,
მიღელავდა ისე დინჯად,
ვით ბელადის საუბარი.

ნეტავ მერცხლად გადავიქცე,
შევიფრენდი კრემლში მალე,
და მშობლიურ ბელადისას
დავკოცნიდი ყელს და თვალებს.

ფანჯარაზე დავჯდებოდი
და ვიტყოდი ვალობასა:
„ვინც ასეთი ყრმა გაგზარდა,
ნეტავ იმის ქალობასა“.

ის ღიმილით შემხედავდა,
მეც გავშლიდი ლამაზ ფრთებსა
და ვიფრენდი, სულ ვიფრენდი,
გადვივლიდი ათას მთასა,

ვიმღერებდი, ვივალობდი,
ავუწვდენდი ჩემს ხმას ცასა:
„ვინც ასეთი ბრძენი მოგვცა,
დიდება იმ ქვეყანასა!“

გორის ლაშა

მეც უანმიცდია, ვყოფილვარ ბავშვი,
მონახავს ცა და ჭალარა მთები, —
მთის კალთებიდან მოსული ბარში
ცხვრების ფარა და ზრიალი თერგის!

ენახე ჯეჯილის ლივლივი მზეშიც,
ბავშვის ოცნება ტკბილი ესოდენ, —
მაგრამ ამგვარი ბუნების ეშხი
ჯერ არ მიგვრძენია მე არასოდეს.

გორი ჭადრების ყდაში ჩასმული
და მუნასავით ფესვებმაგარი,
მთას ებჯინება ცამდეასული,
მილქონების გულში ჩამდგარი.

ეს გულიც დიდხანს ფიქრით დაბმული
ტყვედ ეპყრა ციურ ცეცხლიან თაღებს,
ძირს ეგდო ველი მოფარდაგული —
მტკვარი დუღუნით ისროდა ტალღებს.

და მერე სივრცე ნისლით ნაბური
შემომცქეროდა შორიდან მდუმარს,
ცაში გედების ფრთების დგაფუნე
ბერდუჯის მთაში წვებოდა ღრუბლად!

გვიან ლიახვმა ჩქარი ჩქერებით
ტყიან მთა-ველებს დაუკრა ტაში,
როგორც ვარსკვლავნი თვალმჩიოებით,
ბელადის ქონხი ყვაოდა ბაღში.

გორის ციხესთან განცდილი შვება
ფიქრებს კრემლისკენ თან გავატანე,
ქართლის ბედნიერ პირმწოშევენებას
უმღერის ხალხი და მატთანე!

პირველი ღარლი¹

ქალიშვილები საბანაოდ წავიდნენ.

შარშან ისინი ტირიფებთან ბანაობდნენ. ონავარი ბიჭები ამ ნაპირსაც შემოეჩვივნენ.

ქალებმა მყუდრო ადგილი გამოიხატეს დაყრუებულ ფონის მახლობლად. ცუგრუმელა ქეთინო, — მათი მუდმივი ყარაული — გორაკზე წამოასკუპეს და თავათ კისრისტეხით წყალში გადაცვიდნენ.

შუადღე იყო.

რთველის მზე თაფლივით ადნებოდა დედამიწას. მოთმინება არ ყოფნიდა მისი შარბათით შეხურებულ ნაყოფს: წაბლი ხეთქავდა ბუძებეს, სკდებოდნენ ლეღვები და თითქოს სიმღერას აპირებენო, პირს ალებდნენ ალისფერი ბროწეულები.

აჯაგებულ ბილიკზე ვიღაც გამოჩნდა.

— კაცი მოდის! — გადასძახა ქეთინომ წყლიდან ამოსულ ქალიშვილებს. ისინი სილაზე თბებოდნენ. სილა ცხელი იყო, ძილის მომგვრელი.

პირქვე დამხობილი თალიკო თვლემდა. მზენაკრავი ტანი ამღვრეულ მდინარის ტალღას უგავდა.

დამფრთხალი ქალიშვილები ნიაღვრებივით შეცვიდნენ მდინარეში.

თალიკოც წამოხტა, მაგრამ ბილიკზე მომავალს რომ გახედა, მყისვე შედგა, დაცინვით უთხრა ქეთინოს:

— შენც კაცი ნახე, რაღა!

უთხრა ხმამაღლა, მოახლოვებულ ჭაბუკის გასაგონად და ისევ არხეინად გაგორდა სილაზე.

ჭაბუკს ფერი ეცვალა. უტიფარი ქალიშვილი შეიცნო და ბონდისაკენ გაბრუნდა.

მიმალული ქალიშვილები ნაპირს მოაწყდნენ, კისკისი მორთეს.

ჭაბუკმა ნაბიჯს მოუჩქარა, მერე უტებ გაიქცა და თვითონვე იგრძნო, რომ უფრო სასაცილო გახდა.

„რა ხარ, თალიკო, კაცმა რომ იცოდეს!“ — წიოდნენ სიცილისაგან მიღნავებული ქალიშვილები და წყალში ჩაკიდებული ტოტებს ეპოტინებოდნენ, რომ ნაპირზე გამოსულიყვნენ.

¹) თავი რომანიდან „იმერეთი“.

დოფინა განზე გამდგარიყო. სოველ ნაწნავებს ჩქერში არხევდა ჩაფიქრებული. თვალში ცრემლი უბრწყინავდა და მაინც ილიმებოდა მეგობრების თვალისასახვევად.

ყველაზე ბოლოს გამოვიდა ნაპირზე. სიცივისაგან ტუჩები გალურჯებოდა, ტანზე ხორკლი მოჰყენოდა გაპუტებულ ბატივით.

თალიკოს გვერდით წამოწვა და ცხელი სილა მკერდქვეშ შემოიხვეტა.

— რა დაგიშავა მექიმ?

— ის მე ვიცი! — თავაუღებლად წაიღურღულა თალიკომ.

— სული ამოდის შენზე! — ნაღვლიანად წაიჩურჩულა დოფინამ.

თალიკომ აღმაცერად გადახედა.

— ასეა საქმე? — ეს უთხრა და თვალი ჩაუკრა დაცინვით.

დოფინამ სახე მოარიდა. მისმა უუუუნა თვალებმა ვერ მოახერხეს გულისტქმის დაფარვა. მეტისმეტად წრფელნი იყვნენ.

— მე კი მძულს, მძულს! — ხმადაბლა დაუმატა თალიკომ და პირსახეზე აღმურმა გადაურბინა.

— ვინ ეკითხება, ყველგან რომ ეჩრება და ხელს ურევს! გუშინ ჯიშკარიანს ურემი გაუჩერა რიყისქვით დატვირთული. თავი მოკრა იმდენ ხალხში.

„ურემს წინალი მოსვლია, ხარები დაგიხოცავსო! კერძოდ რომ იყავი, საქონლის მოვლა და შეცოდება იცოდი, ახლა რა ღმერთი გაგიწყრაო!“

„მერე ურემზე შეხტა და ქვები მოასწორა. სხვებიც იყვნენ რიყეზე, მარა, მაინცდამაინც მაგან იმეტიჩრა! ვითომ გული შეტკივა ყველაფერზე! ჯიშკარიანი ურემზე დაბერდა, რა უნდა ასწავლოს მიკიტნის ბიჭმა!“

— კარგად მოქცეულა, — მორიდებით ჩაურთო დოფინამ.

— დაიკარგოს! — იყვირა თალიკომ, თუმცა გრძნობდა, ნათქვამი არ კმაროდა მექის გასამგუნებლად.

უფრო დამაჯერებელ საბუთს ეძებდა, მაგრამ მექისადმი მძულვარებით დაბრმავებულ ქალიშვილს გონების მაგიერობას ავი და უმწეო გულწრფელობა უწევდა. ამბობდა, რასაც ფიქრობდა და ასეთი ვანუსჯელი აღსარება. მასვე ენებდა, ვერავის აჯერებდა.

ძლიერ ნანობდა, რომ დოფინას გული გადაუშალა; უდილობდა დამშვიდებულყო, მაგრამ გრძნობებს აყოლილ ქალიშვილის სიმტკიცე გამოეღია.

— ვინ ეკითხება, რომ ასე პარპაშობს და ხაზეინობს! ისე ირჯება, თითქოს მთელი სოფელი მისი იყოს!

წამოდგა, ტანზე მიმხმარი სილა ჩამოიფერთხა და ჩაცმა დაიწყო.

„რა ლამაზია და რა ბოროტი!“ — გაიფიქრა დოფინამ და მეგობრის საგსე მკერდსა და თეძოებს შურიანი თვალი შეავლო.

ბარნაბა საგანელიძის ქალიშვილს გული უკვდებოდა, რომ მექი სოფლის ბატონ-პატრონობას იჩემებდა. კოლმეურნეობაში შესვლის შემდეგ ისე გალალდა, თითქოს მთელი ქვეყანა მასზე იდგა.

არა, თალიკო ვერ აპატიებს ამ გრძნობას მათი ოჯახის მოღალატეს. ეს გრძნობა რალაც ფარულ ზვიადობას ანიჭებს მექის.

თალიკოს ეზიზღება მისი შეუპოვარი სიარული, რადგან ასე მხოლოდ დიდკაცები დადიან.

ეზიზღება მისი გამოხედვა, რადგან ასე მხოლოდ ურჩები იხედებიან.

ეზიზლება მისი შეუვალი კილო, რადგან ასე მხოლოდ ისინი ლაპარაკობენ, რომელთა სიტყვას დაჯერება მართებს.

ქუდიც რომ ისეთ ყაიდაზე ახურავს, თითქოს დიდი ვინმე დარდიმანდი ბრძანდებოდეს! ეზიზლება, ეზიზლება...

*

* *

გულამღვრეული მექი ბონდთან ჩამოჯდა. მოაგონდა შორეული ბავშვობა, შორეული და უთავბოლო, როგორც გამოუტანელი სიზმარი.

რამდენჯერ უნატრია მექის, ბონდზე მიმავალ თალიკოს ჩელტი ჩამტვროდა და თავათ იქვე ყოფილიყო სადმე.

ნატრობდა, საგანელიძის სახლკარს ცეცხლი გასჩენოდა შუალამით და თავათ იქვე ყოფილიყო სადმე.

ნატრობდა, სოკოს მოსაკრეფად წასულ თალიკოს მგელი შეფეთებოდა ლებემურას ტყეში და თავათ იქვე ყოფილიყო სადმე.

რა თავგანწირვით ეკვეთებოდა მექი გახელებულ წყალს, ცეცხლს, ნადირს უკარებელი ქალიშვილის გულის მოსაგებად.

დაკბუტდა, ოცი წელი შეუსრულდა — და ეს ბავშვური ნატვრა მაინც შერჩა დღემდე, თითქოს ხალივით დაჰყოლოდეს დედის მუცლიდან.

მექი მხნედ შევიდა ცხოვრებაში, როგორც მდინარე შედის მდინარეში. შემტევი და სხივიანი ბიჭი დადგა. მხოლოდ ქალებთან მორცხვობდა. წინანდებურად.

ქალს ახლო არ იცნობდა და ღამღამობით უწმინდური სიზმრები სისხლს უმღვრევდა კბუტკს. ძილი უტყდებოდა. მაშინვე აღგებოდა, ჩაიცვამდა და გათენებამდე ოციან თოხს უბათქუნებდა ყანაში.

რახანრა გაჰყარა ბედმა მისი და თალიკოს გზები, მაგრამ პატარა დიასახლისის მაინც ვერ ამოიგდო გულიდან.

მიწას თავს აკლავდა, წიგნებთან ათენებდა, კობტად იცვამდა, და თითქოს ყველაფერს იმიტომ აკეთებდა, რომ თალიკოს მოსწონებოდა, —

მოსწონებოდა როგორც მამაკაცი...

თალიკოს ესმოდა მისი გულისთქმა და სწორედ მექის არ ეპუებოდა, როგორც მამაკაცს.

თუ სადმე მოახლოებდა, ან დაინდობდა მექის თავმოყვარეობას, ისეთი აღვირახსნილი ზემრობა სჩვევოდა, ყურებზეხურებული. მექი დასამალავს ეძებდა.

შუბლის ძარღვს გაიწყვეტდა თალიკო, ოღონდაც საწყენი შეხვედროდა ათვალწუნებულ კბუტკს.

გასულ კვირას თალიკომ ვაჟურად იცეკვა კლუბის ეზოში.

ნოემბრობა იყო. ცა და ქვეყნის ხალხი ესწრებოდა დღესასწაულს.

თალიკოს შეენოდა ვაჟური ცეკვა. თვითონაც გრძნობდა ამას, და ეს გრძნობა შეუცდომლად ატყობინებდა ქალიშვილს, რა და როგორ იყო საჭირო, რომ თვითეულ მოძრაობაში კაცის მომსპობი ეშხი და კეკლუცობა ჩაექსოვა.

მკიდროდ შემოტმასნილ კაბაში ერთი ნაქეთი არ უთახთახებდა.

ტანადი, ფერხორციოთ საესე ქალიშვილი ნებიერად მინდობოდა ლეკურის ბობოქარ დენას და აყვავებულ ტოტივით ირხეოდა წრეში.

— თხა, ნამდვილი თხა! ვერ იქნება, ბეჩა, კაი მეოჯახე, — ებუტუნებოდა მეზობლებს ვაშაკიძის ქვრივი და თავის უღლეურ ქალიშვილებს ჩქმეტდა, გვერდებს ულილავებდა, გეინძერით, თქვენც იხტუნეთ და ხალხს თავი მოაწონეთო.

უცებ თალიკომ ქალურად ჩამოუარა და ბიჭები ქორივით შეფრინდნენ წრეში.

გაჩნდა ცილობა.

ქოლიკამ ჩამოვლა ვერ მოასწრო, რომ მქედლის ზურგი ჩამოეფარა თვალწინ.

მქედელი ხაჟომიამ შეცვალა. ხალხი კიჟინით მიაცილებდა პირში ჩალაგამოვლებულ ყმაწვილებს.

ქოჩორა ვარდენამ ყველას აჯობა. ბევრი ქომაგი გამოუჩნდა, ყოველ მხრიდან აფრთხილებდნენ, ჰარიქა, მოვიდაო, და ვარდენაც მხარზე ეწებებოდა ქალიშვილს, მოცილე ახლო არ მოეშვა.

— აბა, ვნახოთ! — დაიძახა მექიმ.

ჩექმების ყელი ამოქაჩა, ქამარი მაგრად შემოიჭირა, მერე ოდნავ მოიხარა და მყვინთავივით ამოჰყო თავი მოცეკვავე ქალვას შორის.

მისი გაშლილი მკლავები ფრთებივით გამოესხა თალიკოს.

ქალიშვილი გაუსხლტა და ისეთი მწველი და ალერსიანი სიტბო ჩაუტოვა მკლავებში, რომ მექის სუნთქვა შეუგუბდა.

მექის გამოჩენა ყველას გაეხარდა. სიმღერა გაძლიერდა. მოხუცმა უშვერიძემ კომბალი ლაჯებში ამოიღო და ტაში დაუკრა, მაგრამ ბიჭებმა ისეთი სულმოუთქმელი ტაში დასცხეს, რომ მოხუცმა ხელი ვერ შეაწყო. მართლა დადებრებულვარო, წაიბურღლუნა და კომბალი მოიფათურა.

მექი უკვე წამოეწია ქალიშვილს...

უეცრად თალიკო შესდგა, მკლავი დაუშვა და მობრუნდა.

მისი ტუჩები დამცინავ ღიმილს მოეღრცა.

კარგად იცნობდა მექი ამ ღიმილს. გული მოეწვა ცუდის მოლოდინში.

— დავიღალე! — შეჰკივლა თალიკომ, თმები შეისწორა და წრიდან გავიდა.

ტაში და სიმღერა მინელდა. ხალხი მიხვდა, საგანელიძის ქალიშვილმა მექის გასაწბილებლათ მოიმიზეზა დაღლილობა.

მექი გაშრა, მაგრამ ცეკვა მაინც არ შესწყვიტა.

უხერხულ ღუმილს მისი მეგობრების თითო-ოროლა ტაში ამხნეებდა.

ფეხი ეშლებოდა, ტორებზე ამდგარ დათვივით დაძმსულებდა. ძალა არ შესწევდა, წრიდან გასულიყო ასე შერცხვენილი.

ღოფინა გამოუჩნდა მხსნელად.

„ტაში, ტაში“, დასჰკივლა და მზიარულად მიუთამაშა ქირის ოფლში გაწურულ ჭაბუკს.

მექი გასწორდა, ღოფინას მადლიერი თვალი შეანათა და ისეთი გაუსვა, თითქოს ტანში მთელი ქვეყნის ქარი ჩაბუდებოდა.

კლუბიდან ადრე წამოვიდნენ.

დიდგზას გამოჰყვენ.

— ვეტყვი, — გადასწყვიტა დოფინამ, რაწამს მარტონი დაოჩნენ, მაგრამ დღესავით ნათელი ღამე იყო, არც ხე იდგა ახლომანლო, არც ღობე. მხოლოდ ქალა ქათქათებდა დაცვარული. ისინი მეტისმეტად გამოიჩინოდნენ ამ ტრამალ გზაზე.

ვერ გაბედა.

ფიქრად წასული მექი ჩექმაზე წკებლს მოუთმენლად ატლაშუნებდა და დროდადრო ორ-სამ უმნიშვნელო სიტყვას გადაუგდებდა დოფინას.

ასე გალიეს შარაგზა და თეთრი მიწის უბანში შევიდნენ.

ეზოებში მაჭრისა და მოხარული კვანძის სუნი ტრიალებდა. ისმოდა თევზების ხმაური, ქვასანაყის ცემა და კამათლების ხაჭუნია.

ალაგესთან ვიღაც ჩურჩულებდა. „არ დამკლა, გოგო, ვადმოი და ვადმეიტანე გიტარა“.

ვანშმის მოლოდინში უფროსი კაცები ტალავერში საუბრობდნენ. მხიარული, გულსავსე ხმები წისქვილის შორეულ გუგუნევით ავსებდა ღამეს ორლობეში შეუხვიეს. ხშირი ჭადრებისა და ეკალბარდების ჩრდილში გაითქვიფენ.

— იცი რა გითხრა?

— არა...

— აი, რა...

დოფინას პატარა ხელი პეპელასავით ათრთოლდა მექის ხელზე.

— მცივა, — წაიჩურჩულა უცებ.

მართლა კანკალებდა

მექიმ პიჯაკი მოახურა. პიჯაკში ღონიერი მამაკაცის სითბო იდგა დოფინა გაეხვია ამ სითბოში და სახლში წასვლა დაეზარა.

— დავიღალე, — იტრუა და მოწყვეტილი ჩამოჯდა გზისპირას, მოშამბულ ბეჭობზე.

— რავა ყველა იღლებით დღეს! — ნაღვლიანად შენიშნა მექიმ.

დოფინა გველნაკბენივით წამოვარდა.

„კიდევ იმაზე ფიქრობს... ჩემთანაც იგი ახსოვს!“ გაიფიქრა და ქვეითინ-მაც მოუხსწრო.

— რა დაგემართა! — შეიკვირვა მექიმ.

— უგულო, შე უგულო! — ამოიკენესა ქალიშვილმა, ამოიკენესა და გაიქცა, რომ მარტო გამოეტერა ქალიშვილობის პირველი დარდი.

წინამუხრიდან საგურამოძღა

წინამუხრიდან საგურამოძღე ეკლიანი და პატარა გზაა.
წინამუხრიდან საგურამოძღე სიცოცხლის გავლა ნეტავი რაა?
წინამუხრიდან საგურამოძღე აშრიალებულ ფოთლების ზღვაა.

ისევე დუდუნნი ისმის არაგვის, ისევე ბიბინებს არაგვის ველი.
ღამით ამოსულ და აყვავებულ ვარსკვლავებს დილა მოთიბავს ცელით.
ღამით ამოსულ და აყვავებულ ნიავს არაგვი დილაძღე ელის.

„ჰეი, არაგვო, არაგვიანო“, — გულში ეგ სევდა რად ჩავწოლია?
შენ სამას შვილზე ხომ არა დარდობ? — გყავდა თუ თითქოს არა გყოლია...
შენი ჩქერების თეთრი შხეფები — ეგ ხომ ცრემლები წმინდა ბროლია!

ჰეი, არაგვო, მითხარი მაინც, შენ სამას რაინდს თუ რას უმღერდი?
როგორ აღზარდე ქართულ ქოხებში და ქართულ აკვანს როგორ ურწევდი?
ჰეი, არაგვო, მაშინაც ალბათ ამავე სევდას მოაქუხებდი...

არავინ იყო ამბისმოძღანი, არ გინათებდა გულს ალიონი,
აღარ გესმოდა „ვისაც მოუკლავს“, არ გუგუნებდა ზარი სიონის,
შენთან სტიროდა მხოლოდ მოხუცი — დამარცხებული ბაგრატიონი!

გზა ეკლიანი და უდაბური გმირებს და მგოსნებს გაუკავიათ...
საით ისწრაფვი, მაინც, არაგვო, და მიაშფოთებ ტალღებს ქაფიანს?
მცხეთის კარაძღე დიდი ჩრდილებით მთებს შენი ტანი დაუდაფნიათ.

მცხეთის კარაძღე გაისმის ძვლების და მუზარადის მსხვრევის ხმაური,
მცხეთის კარაძღე წარსულ ბრძოლების ისევე ამტყდარა აურზაური,
მცხეთის კარაძღე რეკავს ჯაგშანზე დაჯახებული ხმალი ფშაური!..

წინამუხრიდან გულის კარაძღე ერთი გზა მოდის: — გზა სისხლიანი;
ისევე ჰყვიან ცაში არწივნი და შროალებენ მთანი ტყიანი,
მთებში ირმების ისმის ყვირილი, გულისმზარავი და სევდიანი.

ეგების მკერდში დასჭრეს ირემი და არ ურჩება ბეჩავს იარა,
გაგმირულ შუბლით ეკლიან გზაზე ისევ მგოსანმა თუ გაიარა,
ეგების ამცნო მთებს საიდუმლო და დიდი ფიქრი გაუზიარა?

„ჰეი, არაგვო, არაგვიანო“, გულში ეს სევდა რად ჩაგწოლია?!
მოკლულ პოეტზე ხომ არა დარდობ? — უსაყვარლესი ვინა გყოლია!?
შენი ჩქერების თეთრი შხეფები — ეგ ხომ ცრემლების წმინდა ბროლია!

მიამბე მაინც, როგორ დაეცა, როგორ კვდებოდა ეს გოლიათი?
ეგებ ვარსკვლავთა შეწყდა კაშკაში, გადაეთარა მიწას წყვდიადი,
და დამწუხრებულს, კაცუნით მოცულს მზესაც ამოსვლა დაუგვიანდა?

შთავონებული მისი სიმღერა აღარ მოესმის მიდამოს შენსას...
აღბათ მისთვის ხარ გულჩათხრობილი და აღარ სცხრება ტალღების კენესა,
ნატყვიარ შუბლის სისხლის წვეთები ახლაც აცხია მიწას და ქვებსა.

წიწამურიდან საგურამომდე ეკლიანი და პატარა გზაა.
წიწამურიდან საგურამომდე სიცოცხლის გავლა ნეტავი რაა?
წიწამურიდან საგურამომდე ლურჯი მთები და უძირო ცაა.

ძველი ალბოვილიანი

ანდერძი

12 789
12 71

რა დამავიწყებს შენს ლამაზ თვალებს, —
 რამ დამავიწყოს ეს ალუბლები,
 იცოდე, როცა სხვას შევიყვარებ,
 ამ სიყვარულზე ვესაუბრები.

ვეტყვი, თუ როგორ გვიყვარდა ძველად
 ჩვენ ტრფიალება წრეგადასული,
 თუ როგორ გაჰქრა ოცნება ყველა
 და მოგონებად დარჩა წარსული.

ვეტყვი, თუ როგორ გვიყვარდა გულით
 ფიროსმანი და ტფილისის ლამე,
 ლაყვარდოვანი მტკვარის დუდუნი
 და მარტოობის მკაცრი სიამე.


ვეტყვი, რა მწვავდა უშიშარ დავრიშს,
 შალალ მთებს რისთვის გამოვექეცი,
 როგორ გაგანდე, ძვირფასო, ჯავრა
 და კაცი ლექსად როგორ ვიქეცი.

ან შენს სახელზე ბერდანის ტყვიით
 როგორ დავკოდე ნადირი მხარში,
 რომ არ ვიცოდი მაცდური ტყვილი,
 რომ შემლილივით მიყვარდი მაშინ.

ო... მასაც ვეტყვი, ვეტყვი ყველაფერს —
 რა კარგი იყავ და რარიგ ნაზი,
 რომ მხოლოდ შენთვის ავაფერადე
 ჩემი სიმღერა და მუხამბაზი.

ო... მასაც ვეტყვი, ძვირფასო ცირა,
 როგორ გვდევნიდა ბედი ტიალი,
 როგორ გვიყვარდა შავი ზღვის პირას
 გასეირნება და ხეტიალი.

როგორ გვესმოდა ტალღების ნანა,
 და სიყვარულით როგორ ვიწვოდით,
 და ეს შარბათზე უტკბესი ხანა



რომ გაჰქრებოდა, რად არ ვიცოდით?
ვეტყვი, რა იყო ის გაზაფხული,
როდესაც შევხვდი და შემიყვარდი
ოპერის ბალში სიზმრად ნახული,
აკაკის ძეგლთან გაშლილი ვარდი.
რა დამავიწყებს შენს ლამაზ თვალებს—
რამ დამავიწყოს ეს ალუბლები.
იცოდე, როცა სხვას შევიყვარებ,
ამ სიყვარულზე ვესაუბრები.

უბოს წიგნიდან

ლადო გუდიაშვილი

შუალამისას ადგება ქარი,
რომ ცას შეუღვას შავი სვეტები..
შუალამისას ადგება ქარი
და ისევ თავი გამემეტება:
ადგება, როგორც თეთრი ირემი,
ჩემი ოცნების ჩუმი წვალება
და უღიმღამო ცის ნაპირები
შესთავაზებენ მთებს მოკრძალებას.
შენ მხედები ამდროს, თუ უფრო ადრე,
და გზები შენი ქვეყნად ვინ იცის!...
ვინ იცის რამდენ მზესა და ავდრებს
შებნდებით შენ და ქარი ტფილისის.
ირიბ ქუჩაში ხელადით, მწვადით,
დაგვხვდება კინტო შეითანს ზემოთ:
— აქეთ მობრძანდით, აქეთ მობრძანდით,
აქეთ მობრძანდით, ოსტატო ჩემო!..
მოგროვდებიან ქუდებმალალი
მტრედის ქამრებით, ვერცხლის მტრედებით.
არ ავალელებს მათი ყაყანი,
და სიჩუმეშიც არ გახელდები.
ერთი კარტივით გადაშლის მტკაველს,
გთხოვს, გემუქრება, რომ შეგაჩეროს.
— რა დაგიშავე, რა დაგიშავე,
რა დაგიშავე, ოსტატო ჩემო!..
რისთვის გამკიდე, როგორც სიონში
კვითელ ჩარჩოში ჰკიდია ჯვარცმა!
ჩაას მემდურთი, რას მიჩიოდი,
რა გაწყენინე მტრედივით კაცმა?
რბოდნენ ღლეები უამინდოთა,
ბოლოს შევიცან სიკვდილის გემო.
მე სამუდამო ძილი მინდოდა,
რად გამაცოცხლე, ოსტატო ჩემო.
ჩარჩოში ვზივარ: ვწყევლი გაჩენას.

მოვლენ, მშინჯავენ დარდიმანდულად.
 შენმა ყალამმა, შენმა მარჯვენამ
 ეს რანაირი დარდი მარგუნა.
 თითქოს შეჭრულან საქმით, მუნათით,
 ყოველდღე მოდის ხალხი — დუნია.
 გაყიდული ვარ, როგორც სურათი,
 და სული ჩემიც გაყიდულია.
 მომეხვევიან, შეჭკრავენ წრესა
 და მიღიმიან თეთრი ქალები.
 შოიწონებენ მარჯვენას შენსას;
 მე კი არავის შევებრალები.
 და მხოლოდ ღამით, როდესაც ცაში.
 შეიკრებიან ვერცხლის მტევნები,
 დავტოვებ ჩარჩოს, გავდივარ კარში
 და ჩემ ძველ ტფილისს ავედევნები.
 გავრბივარ... სწორის ძებნას ვუნდები.
 მძენძავენ ფიქრთა შავი ვედები.
 გათენებისას ისევ ვბრუნდები
 და შავს ჩარჩოში ჩავიჭედები!..
 ...და გთხოვს: ოსტატმა კინტოს უსმინო;
 შორს, კინტოსავით მტკვარიც ხრიალებს.
 ხელადა ტყდება, იქცევა ღვინო
 და თოვლის სუფრას ასისხლიანებს.
 მთაზე მთვარეა და ნარიყალა,
 დაბლა მეტეხი, შენ და ისინი.
 ნარიყალიდან მთვრალი ნიკალა
 გითვალთვალებს და ჩუმად იცინის.
 გარბიხარ. ლანდი, როგორც დიდება
 მოგდევს, შრიალებს თოვლის სირბილზე
 და მხოლოდ ერთს არ გაუკვირდება
 გუდიაშვილის ჩქარი სირბილი.

შემოღობა საბადურზე

1.

მივდევდი აღმართს ლალი იმედით
 და შენი ლანდი, როგორც ფრინველი —
 თავჩაქინდრული მომდევდა გვერდით
 ასეთი კარგი და საკვირველი.
 შენი აჩრდილი, ვით ჩემი გრძნობა,
 გრძნობა, რომელიც გულს მიდაღვდა...
 ქოტის კივილმა მწუხრი გვაცნობა
 და საბადურზე შემოგვალამდა.
 შევდექით, ნიავს გავუხსენ მკერდი,
 ერთხელ ჩავძახე მთვლემარე ხრამებს.

მერე ვიჯექი, ამ ლექსებს ვწერდი
და, როგორც ვერხვი, ვისმენდი ღამეს.
დილით კი, როცა ნაფეხურები
ბილიკებს ქმნიდნენ ნაპრალებს შორის,
თამელზე შესხდნენ მოლალურები,
შესხდნენ და იყვნენ ჩვენსავით ორნი.

2.

მთვარე წყალზე დასაღევად ჩავიდა,
მაგრამ ვერ კი დალია.
და ჩვენც, ორნი, წამოსულნი ფშავიდან—
შოვადექით დარიალს.
ახლა მთაზე მხოლოდ ჯიხენი არიან,
შუქს ელიან შუნები.
იქ დამიციდი, მე ხევს ჩავალ ქარიანს —
ჩემი დანიშნულებით.
ქარი ჰკივის, ქარი ფაფარს შავად შლის,
ხანაც ტირილს აპირებს,
მე ხევს ჩავალ, მთვარეს წრიაპს ჩავაწვდი,
აღმართს გაიადვილებს.

ბეჭედი

ვინ გამოგთალა, ვინ გამოგჭრა ოქროს დაირად,
ვინ გაჩუქურთმა, უნაზესი ოსტატის მზერით ..
რამდენი ცოლის სულს ხუთავდა ბორკილნაირად
ის ბრილიანტი ყინულისფერი,
ვის გაუგია ქვების შუქი მარად უქრობი,
როგორც კავშირი გულს გარეშე აღმაცერობდეს!
ო, მე უთუოდ დაგამსხვრევდი შენ, როგორც ბორკილს,
რომ ეს ჩუქურთმა არ მაჩერებდეს!

ლეკთი ლეკლუი

იყო დრო, როცა მას სწამდა. მოკრძალები შეხედავდა ზეცას. იგი ხომ მარადიულ ნეტარებას აღუთქვამდა მართლმორწმუნეთ.

ზის მოხუცი მასწავლებელი საწერმაგიდის გვერდით დივანზე და ოდნავის შიშით მისჩერებია მჭვარტლით დამტვერილ ხატს. შესცქერის ნათელით მოსილ სახეს ღვთაებისას და თანდათან იძირება მოგონებებში თუ სინანულში.

დიდედამ ჩააგონა უფლისადმი შიში პატარას. ბებოს განჯინის იღუმალი. დარაჯი ეგონა პირველად იგი (მაშ რად აფრთხილებდა მოხუცი შვილი-შვილს—ჩურჩხელებს ნუ იპარავ, ღმერთი შეგხედავს და დაგსჯისო). მერე ეკლესიაში წაიყვანეს შვიდი წლის ბავშვი. კისერი მოეღრიცა გაოცებულს—საკრებულოს რუხ თალებზე მიხატული შარავანდიანი წმინდანების მზერაში: ჯვარცმული კაცის ნახვა ეოცა მეტად; გულნატკენი მისჩერებოდა ქრისტეს უაღრესად ადამიანურ სახეს და სტანჯავდა ფიქრი იღუმალი: ნეტავ რისთვის დაუსჯიათო საბრალო? გავიდა წლები. წამოიზარდა. სახარებათა ყოველი სიბრძნე რომ აუხსნეს — აღარ უკვირდა, რად მოითხოვა სიკვდილის წინ სულთმობრძავე და დიდედამ მღვდელი მომიყვანეთო. კიდევ გავიდა წლები. დავაქაცქადა. პროფესიად მასწავლებლობა აირჩია. ახლაც მორწმუნე იყო, მაგრამ უთუოდ ცუდი, ისე როგორც იყვნენ საერთოდ საქართველოში, აღდგომას ან სხვა ღღესასწაულზე რომ მოაგონდებოდათ ღვთის არსებობა.

სიჭარმაგეში მოუხსრო მასწავლებელს რევოლუციამ. ამიერიდან ყველაფერი შეიცვალა. ღმერთი ხუტუების მოგონილ ზღაპრად გამოაცხადეს და ყოველი რელიგიური ღღესასწაულის მოახლოებისას, ანტირელიგიურ კამპანიებს აწყობდნენ დიდის მონდომებით. ათეიზმით გატაცებულები ღმერთად გადაცემულ ბიჭებს თავის ქრისტე მოციქულებიანათ ვირებზე უკუღმა შესხამდნენ, ქალაქის ქუჩებში აატარ-ჩამოატარებდნენ და ამ სანახაობით აღტაცებულნი მხიარულად ხარხარებდნენ — თითქო დასცინოდნენ მის ძლიერებას: აბა და თუ რამე ძალგიძს ჰქმენო. ყოვლად ძლიერი კი სულ ითმენდა და ითმენდამოდი და აწეთი გამასხარავებული ღმერთის სურათი ოთახში გეკიდოსო. იფიქრა ჯერ კიდევ ჰარმაგმა მასწავლებელმა და ოთახის კუთხეში თაროზე მოთავსებული ხატი ოდნავის შიშით, მაგრამ მტკიცე გადაწყვეტილებით ჩამოიღო: ჩამოიღო და მაგიდის უჯრაში ჩასდო. მასწავლებელი ამ მაგიდაზე მუშაობდა, ამიტომაც ღვთის სახე ძალაუვნებურად ეჩხირებოდა თვალში და შეუცნობ შიშთან გაურკვეველად უსიამოვნებასაც ჰგვრიდა.

ერთხელ, როცა შეუკავებელმა სურვილმა შეიპყრო სადმე თვალთაგან მი-
ფარებულ ადგილს გადაენახა ეს ხატი, შემთხვევით გაახსენდა. რომ ერთს
ოთახში გაუქმებული ღუმელი ედგა. ბევრი აღარ უფიქრია, ხატი უჯრიდან
ამოიღო და კედლის ბნელს ხახაში მოათავსა. ელიმებოდა ღუმელში ჩაკეტილი
ხატის მოგონებაზე, თუმცა ამავე დროს გაურკვეველს შიშს და გულის ტკი-
ვილსაც გრძნობდა. ამიერიდან თუჯის ცივი და უხეში კარი დავიწყების კედ-
ლად აღიმართა ღმერთსა და კაცს შორის. თანდათან გადაავიწყდა მოხუცს
ხატი თუ ღმერთი (ახლა ხომ შობას არ დღესასწაულობდნენ და აღდგომას!).

მიდიოდნენ დღეები უზრუნველად და უღმერთოდ.

და რა ჰქონდა მოხუცს სადარდო, გარდა თავისი სიბერისა.

დღეს კი, ამ გამურტლებმა, კარნავალის მონაწილეებს რომ გვანან, აიძუ-
ლეს იგი მრავალწლიან და არასაპატიო ტყვეობიდან გაეთავისუფლებია უფალი.

დილის ათი საათი იქნებოდა. როცა საწერ მაგიდასთან ღრმად ჩაფიქრე-
ბული მასწავლებელი ზარის მოულოდნელმა რეკამ ოდნავ შეაერთო... „ვინ
იქნება?“ გაიფიქრა მან. მისი სმენა ძველთაგანვე შეჩვეოდა მასავეთ ბებერი ზა-
რის ჩახლჩილი აბგერების გარჩევას. იცოდა, ვინ როგორ ახმიანებდა თითბე-
რის ზარს. შესავლის კართან რომ იყო მალლა დაკიდებული... მოწაფეთა
მოკრძალებულ რეკვას მუდამ გაარჩევდა თავის კოლეგების დაჟინებულ გაუბ-
ზარელ ზარებისაგან ანდა ნერვების ამშლელ წკრიალისაგან. ანცი ბავშვები
როცა ჩამოჰკრავენ სახლის პატრონის გასაბრაზებლად. ახლა მოხუცმა არ იცო-
და ამათგან ვისთვის მიეკუთვნებინა ეს რეკვა, ეგოდენ დაჟინებული და მკაც-
რად ნაწყევტი. მძიმედ წამოდგა. ნელის ნაბიჯით ვაემართა კარისკენ. სასადი-
ლო ოთახის გავლით დურეფანში გავიდა, მხარმარჯვნივ მოუხვია და საკეტი
ჩანგლით გადარაზული შესავლის კარი გააღო. ერთს ხელით ძველი გამჭვარ-
ტლული ვედრო ეჭირა, რომელშიც გრძელი და გაშავებული თოკი, თავვისა-
რას ეკლიანი კონები და რკინის მძიმე საჭერი უთავბოლოდ ეყარა. მეორეს
ყდაშემოცლილი ჭუჭყიანი დავთარი ილღიაში გაეჩარა, ხელში კიდევ რკინის
ბრტყელთავიანი ჯოხი ეკავა.

საკვამლე მიღების გასაწმენდად მისულიყვნენ. სეზონი იწყებოდა, ჩქა-
რობდნენ. რამდენი ბუხარი ან ღუმელი ვაქვთო? — იკითხეს. მერე განცვიფ-
რება დაეტყუთ, მოხუცის სახის ფერმკრთალობა როცა შენიშნეს. შიშს შეეპყ-
რო იგი მოულოდნელსა და ცივს. ხატი, ათეული წლების წინ უარყოფილი
ხატი კვლავ შეიქრა მის ცხოვრებაში და შეშალა მისი ჩვეულებრივი დინება.
პასუხს ელოდნენ. ვერ ახერხებდა. დამბლა დაცემულივით გრძნობდა თავს. ახ-
ლა არ მცალიაო, უნდოდა ეთქვა, მაგრამ ენაც დაბმობდა თითქოს. მერე ძლივს-
და ამოთქვა: მხოლოდ სასადილო ოთახის ღუმელს უნდა გაწმენდა: ერთი
ღუმელი ჩემს ოთახშიც არის, მაგრამ არასოდეს ვანთებ — იგი გაუქმებულია,
რადგან სასადილოდან თბება მთელი ბინაო.

ჯიუტი მწმენდელები! დაჟინებით მოითხოვდნენ ორთავე ღუმელის გა-
მოწმენდას. ბევრი უმტკიცა, იქ ცეცხლი არასოდეს დანთებულა და არც დაინ-
თებო, მაგრამ ამაოდ. საძაგლები! ნებისყოფის სიმტკიცე ჰკონიათ თავიანთი
უაზრო სიჯიუტე. ბოლოს ქალაქის საბჭოს დადგენილებაც რომ მოიშველიეს,
მოხუცი ჯარიმისა და იძულების შიშით დასთანხმდა გაეწმინდათ ორთავე ღუ-
მელი. ერთი კი დაიჯინა მაინც — ჯერ სასადილოში გასწმინდეთო, მანამ ცო-
ტაოდენი სამუშაო მაქვს ჩემს ოთახში და მოვათავებო. ისინიც დასთანხმდნენ.

ხედავდა მოხუცი, როგორ დაიმკლავა ერთმა ლუმელის კართან დაჩოქილმა, მეორე კი ეზოში ჩავიდა და ვიწრო ხის კიბით სახურავზე აფორთხდა.

აჩქარებული ნაბიჯით დაბრუნდა მასწავლებელი თავის ოთახში. კარი ჩაიკეტა. სახელური მოსინჯა — ღიად არ დამჩხესო. დივანთან მივიდა, მერე მოწყვეტით ჩაეშვა ზამბარების სირბილეში და გაურკვეველ ფიქრებში ჩაძირული მღუმარებას მიეცა. დიდხანს იჯდა იგი უძრავად, დიდხანს. თვით არ იცოდა რას ფიქრობდა. მარტოდენ დაბნეულობას თუ შენიშნავდით ბებერ სახეზე. მოულოდნელი ხმაურით გამოერკვა. ხმაური იგი ქვიშის ჩხრიალს თუ ჰგავდა შორ მანძილიდან ქარით მოტანილს ან უფრო. კედელზე შპალერის ახევით გამოწვეულ ხმაინობას. ყური მიუგდო. ჩამოწმენდა დაეწყით უკვე. ლუმელთან ჩქარის ნაბიჯით მივიდა. თუჯის უხეში და სქელი კარი გამოალო და როცა აკანკალებული ხელი ბნელ სიღრმეში შეჰყო, იგი იმ გრძნობას მოეცვა, ლომების უაღრესად გამბედავ მწვრთნელსაც რომ შეიპყრობს ამ მხეცის წინაშე პირისპირ დაჩინილს. მერე ოთხკუთხი და ბრტყელი ნივთი გამოიღო. ხატი იყო იგი. შეხედა მოხუცმა გამჭვარტლულ სახეს ღვთაებისას და ეტკინა რაღაც ბებერს სხეულში. უცებ გაახსენდა, მწმენდელები რომ უნდა შემოსულიყვნენ და შეშინებულმა ხატი თაროზე წიგნების უკან გადამალა. მერე ოთახის კარი გააღო, დივანთან დაბრუნდა, წამოწვა და ინატრა გულში: სამუშაო მალე მაინც დაამთავრონო.

კარზე მოაკაკუნეს.

— მობრძანდით, კარი ღია!

მოხუცის ხმაში დაცინვა ისმოდა. იგი დიდ კმაყოფილებას გრძნობდა ხატის გადამალვით. რა კარგად დააღწია თავი ამ უხერხულობას! ვერაფერი სასიამოვნოა მაინცდამაინც, მასწავლებელს ხატი გინახონ ოთახში, მერე ისიც ასეთს პატარა და პროვინციულ ქალაქში. სადაც მას ყველა ნასწავლ და განვითარებულ კაცად სთვლის; როგორ დამცინავი თვალებით შეხედავდნენ მეზობლები, ახლა რომ დიდის პატივისცემით უხდიან ქუდს მისალმებისას.

მწმენდელები შემოვიდნენ. ჩამოწმენდა დაემთავრებიათ უკვე. მოხუცმა თვალით ანიშნა ლუმელი. საქმე ჩქარა მიდიოდა.

როცა ყველაფერი მოთავდა — ვედროს მშვილდივით. მოხრილ სახელურს ორთავე მხრიდან ჩაავლეს ხელი და ლურსმნით მოჭედილ ფეხსაცმელების ხმაზე მოხუცი გრძნობდა როგორ შორდებოდნენ მწმენდელები ამ ბინას და ყოველი ნაბიჯი მათ მიერ გავლილი სიხარულს თუ სიმშვიდეს მატებდა მის მღელვარე სულს.

მხოლოდ იმ საღამოს შეიგრძნო მასწავლებელმა მარტოობის მთელი საშინელება. კარგა შედამებული იყო, როცა გაკვეთილებიდან შინ დაბრუნდა, მოუსვენრობა ეტყობოდა. მალმალ გადიოდა დერეფანში და მეზობლის ფანჯარას გულდასმით ათავალიერებდა. სჩანდა ვიღაცას ელოდა. დღეავდა წელთა სიმძიმით მოხრილი ბერიკაცი. კარგა მოხუცებული იყო. ბოლო ხანებში ღონის შესუსტებასაც გრძნობდა მუხლებში. სიკვდილის აჩრდილი აკვიატებოდა საბრალოს. მისი შიშით დამეც არ ეძინა. ნაშუაღამემდე ბოლთას სცემდა ოთახის ერთი კუთხიდან მეორეში. უნდოდა ვისმესთან ყოფილიყო, ელაპარაკნა. ერთი მეზობელი ჰყავდა. ახალგაზრდა ექიმი, ყოველ საღამოს შეიპატიჟებდა ბერიკაცი თავის მყუდრო ბინაში ვითომდა ჩაის დასალევად. დაიწყებდნენ საუბარს. მოხუცი მოუღლებლად ამტკიცებდა, რომ არც ისე ბებერია, როგორც მის დის-

წულს ჰგონია. გადაყვანასაც რომ უპირებს თურმე თავის ოჯახში, ვითომ-და უკეთ მოგივლიანო. ცოლშვილი თუ კარგი ყოფილიყო, საკუთრად გაიჩნდა. აქ მოხუცის ხმაში სიყალბესა და იმ ფარულ მწუხარებას შეამჩნევდით, მარტოხელებს რომ შეიპყრობს ცოლშვილის ხსენებაზე. მერე სიბერის ამბავს დაუბრუნდებოდა. სიამოვნებდა მისი სიკვდილის უდროობას რომ მოისმენდა ექიმის მიერ. ამ დროს ბერიკაცი უწამწამო თვალებს მოჭუტავდა, გამხდარს და ძარღვიან ხელს თხელს წვერებზე ჩამოსვამდა და ბავშვივით გაიღიმებდა. როცა ძილი მოერეოდა, უკანასკნელად გამოსთხოვდა მოთმინებაგამოლეულს. მუზობელს ნუგეშს თუ იმედს და მხოლოდ ამის შემდეგ შეეძლო ექიმს დაეტოვებია მყუდროებით და დამტვერილი წიგნებით სავსე ბინა.

დღესაც ამ კაცს ელოდა მოხუცი. იგი არ სჩანდა. საათს დახედა მოთმინებიდან გამოსულმა. განცვიფრდა. მოლოდინში შუალამე შეუმჩნევლად გადასულიყო. დაწოლა გადასწყვიტა, უხალისოდ გაიძრო ტანისამოსი, მერე სინათლე ჩააქრო და ლოგინში მოწყვეტით ჩაწვა. რატომღაც არ დაეძინა. იქნებ შუქი ჩაი დალია. მერე გაახსენდა ჩაის დაღევაც რომ დავიწყებოდა ამ საღამოს და გაოცდა — ნეტავი რა მემართებო! დიდხანს წვალობდა ძილისათვის. მზეზე დამწვარივით ბრუნავდა გვერდიდან გვერდზე. სცადა არაფერზე ეტექრნა, საბანი თავზე წაიხურა და გაშეშდა: ბოლოს ნაცნობი სახეები და ამბები, სიტყვები და მოქმედებები ყოველგვარი კავშირის გარეშე გადაბმული, უსასრულობისაკენ სრბოლით შეერთდა ძილისფერ ბურუსში, მერე ყველაფერი შეუტონობის სიღრმეებში დაექანა, უკანასკნელად საათის მონოტონური ხმიანობა შეიგრძნო მთვლენარემ და ჩაეძინა.

ეზმანა: უსიერს ტყეში სდვას ვითომ. ჩქამიც არ ისმის არსით. ირგვლივ ღამეა მაჯლაჯუნასავით მძიმე და შავი. ხეთა სიმალღეებიდან რიგრიგობით ეშვებიან მიკოტები, ფრთების ცემით ჩამოუქროლებენ მოხუცს, სახეში ზაფრას შეაფრქვევენ და ღამის მრუმე სიჩუმეში ერთიმეორეზე იკარგებიან. სიკვდილის ქვეყანაში ვარო, იფიქრა. სიცივე შეიგრძნო ზერხემლის არეში და მიხვდა ძილშივე: შიშს შეუპყვრივარო სიზმარეულს. დამშვიდდა. ისევ იძალა ძილის ღმერთმა. თავის ბინაშია ახლა მოხუცი. ზის საწერ მაგიდასთან და ელის რაღაც შეუცნობსა და შემზარავს. ეჩვენა მერე: ვილაც უცნობი შემოსულიყო მის ოთახში იდუმალ. ღუმელის კართან სდვას ახლა იგი და ქანდაკივით უძრავი და ჩუმი. ეს ხომ სიზმარიაო, გაუელვა მასწავლებელს წამით. და კვლავ გაქრა ყოველივე, მერე ისევ მოდუნდა ზიფხიზლე და მოხუცის გამხდარ ზურგს უკან კვლავ აღიმართა ვილაც უსაზღვრო მდუმარებაში. შემობრუნება სურს. უნდა შეხედოს ამ საშინელებას პირდაპირ სახეში, მაგრამ ვერ ბედავს. უცებ ლითონის მკაცრს ხმაურში ღუმელის კარი გაიღო. ათრთოლებულმა მიიხედა უკან, ელდა ეცა... ღუმელთან ღმერთი იდგა გარინდებული, ცივი თვალებით დაპყურებდა მოხუცს იგი. მერე წამოვიდა მაგიდისკენ ნელნელა და ყოველ ნაბიჯზე მცირდებოდა სიდიდე მისი სხეულისა; ერთი ნაბიჯიც და მოხუცმა შიშნარევი გაოცებით შენიშნა, როგორ შევიდა ღმერთი ჰაერში გამოკიდულ ვერცხლის ჩარჩოში და ახლა იგი ხატია მხოლოდ. წუთიც და ხატიც გაუჩინარდა...

წყალგადასხმულივით გაეღვიძა მოხუცს. ოთახში ბნელოდა, ხელების ფათურით მოძებნა კედელზე ელლილი და როცა ელექტროს შუქი ოთახის თეთრ კედლებს შეეფრქვა, მოხუცმა უსაზღვრო შიშით ერთდროულად შეამჩნია

საათის გაჩერება და ღუმელის გაღებული კარი. შემზარავმა გრძობამ შებოკა ის. მას ეჩვენებოდა: ეს ღუმელი გზა იყო თითქო შეუცნობ ცისაკენ. სიკვდილის აჩრდილს ხედავდა იგი ამ ბინაში შემოსახლებულს. იქ თაროზე, წიგნების მიღმა, სდგას ახლა ცივთვალეზიანი ხატლმერთი და იგრძნო მოხუცმა, რომ ამ ხატთან ერთად სიკვდილიც შემოვიდა მის მყუდრო ბინაში.

მოძრაობის გადაულახავმა სურვილმა შეიპყრო. ლოგინი დასტოვა, ფრთხილის ნაბიჯით მიუახლოვდა წიგნების თაროს, თითქოს ეშინოდა: ყოვლად ძლიერმა იდუმალი ზრახვა არ გამიგოსო. ის გრძობდა, ეს ხატი ღმერთი იყო ნამდვილი, შიშიც იყო იგი ადამიანთა ცხოვრების საშინელი დასასრულის წინაშე, სიკვდილიც იყო იგი უთუოდ და ეს თეთრად გათენებული ღამეც ამ ხატს ედგა მხრებზე. იგია მიზეზი ჩემი ამდენი ტანჯვისა ამ უგრძესი ღამის მანძილზეო, იფიქრა მოხუცმა. ხატი თაროდან ჩამოიღო და ბუმბერაზული ძალა იგრძნო უღონო მკლავებში. მტკიცედ მივიდა ღუმელთან. და როცა ბნელს სიღრმეში ხატი შეისროლა, ღმერთი გადავაგდეო, გაიფიქრა და უსაზღვრო სიხარული შეიგრძნო ნერვიულს თრთოლვაში. მსუბუქი ნაბიჯით, გამობრუნდა მაგიდისკენ. გაჩერებული საათი (სამელნის გვერდით მდგარი) მომართა და გაახსენდა ღუმელის კარი დარჩენოდა დაუკეტავი. გამობრუნდა. იგი სავსე იყო გამბედაობით და ამის შეგნებაც აღფრთოვანებდა. ღუმელთან მივიდა, ასანთის ერთი წკირით ცეცხლი გააჩინა, ღუმელში შეანთო და თუჯის კარიკინის საკეტით მტკიცედ ჩარაზა. დაიზრიალა ლითონმა გაბზარულის ხმით.

წამით სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. მერე საათის რიტმიული ხმიანობა მოესმა მოხუცს და შეუცნობი სიმძიმეც სამუდამოდ მოეშვა გულზე.

დილით, როცა ამომავალი მზის სხივები სხრიალთ დაცვინდნენ მასწავლებლის ოთახში, ათინათით გაქათქათებულ ბალიშზე გადასვენებული ჭალარა თავი გარკვევით გამოჩნდა. მოხუცს ბავშვურისა და უზრუნველის ძილით ეძინა.

სიყვარული

ღეღიკა და თინა ოჩიაურებს

ცივი ბათენება

ეს რა არის დახატული,
რა მხატვარმა ინება,
რა ოცნება დახლართული
დაიქარგეს მინებმა.
ჩაიყინა უხმოდ ცაში
მთვარის გასეირნება,
და ღრუბლებში ჩათალხული
ბედისწერას მინებდა...
დაილია ღამე, ცდაში,
დაჩნდა დილა მინებთან.

* * *

სარეცელში ჩაირინდა,
ქალი ალვის სადარი:
— კარგო, თბილი გული მინდა,
შენი გული სად არი?
აღმა ღამის განახელი, —
ავი იყო სიზმარი!..
ისევ დარდით და ნაღველით
გაუთენდა ცისმარე.
ბედო შავი და ორგული,
რად არ გაეცალებმა!..
დაატირა და ჩონგურის
აიწყვიტეს ლარებმა...

სიზმარი

გარეთ ჰყინავს...
ჩიტუნები ფრთხილებენ ჩუმად,
ან ვინ მოვა.
ვინ გაიგებს საბრალოთა გმინვას.
ორნი სხედან.

ვის შესთხოვონ... უბედურნი სდუმან-
სუსხავს. თეთრად
დანავარდობს თეთრნაბადა ყინვა.
როგორ ჰყინავს!..

— მოდით ჩემთან,
მე მიგიღებთ მხოლოდ,
მე დამჩემდა თქვენი ბედი, —
უმადური ბოლო.
აჰა, ბინა, —
და სურვილი თბილად: შეეგებე, —
გარეთ ჰყინავს,
ამ ოთახში არ იყინვოს ეგებ...
ბჭობა ჰქონდათ:
გადასწყვიტეს აღარ დამეთანხმონ:
უკვე თოვდა,
და სიკვდილი ახლო იყო, ახლო!..
...შემდეგ ვნახე,
ორივენი გაეთოშა ყინვას.
თოვდა. და ხეს
ასკდებოდა ქარიშხლის გმინვა...

ჩიტმა გული ჩიტს შესწირა,
სიყვარულით დამთბარი,
მეც მოგწვდები, განაცვალო
მკერდი ბროლის ნათალი.
ო, სადა ხარ, შემობრალე,
დამიღამდა თვალები,
მიღის ღამე, მოღის ღამე,
არვის არ ვებრალეები.
ერთი მწვიდად დაეძინათ,
დაეძინათ ამ თვალებს, —

ღამემ შიში რომ შემძინა,
ათი ღამე დავთვალე:
მკერდზე გველი დაეწვინათ,
მკერდი ველარ დაფვარე...
გამელვიძა, დამწვარიყო,
ჩამქრალიყო ლამპარი...
დაატირა, და ჩონგურის
აიწყვიტეს ლარებმა.
ზედი შავი და ორგული,
რად არ გაეცალება!..
— ჰოი, იქნებ მკვდარი არი;
მკვდარი ვერც დაუმარხავთ,
დაშნა ვერცხლის ტარიანი
მტრის ხელში თუ უნახავთ!...
ვინ მოიქნევს ვაჟკაცურად,
მოელვარეს ელვისებრ...
მისი მზე თუ არ ჩასულა,
მე ბნელი რად მელირსა!...
ო, სადა ხარ, შემებრალე,
დამიღამდა თვალები,
მიდის ღამე, მოდის ღამე,
არვის არ ვებრალები“..

ასე ტირის, ასე მოთქვამს,
ქალი გულნაავდრალი...
ეს ამბავი მართლა მოხდა,
და არც არი მართალი!..
ახლაც მოსჩანს სამარხები,
ხავსიანი ლოდებით.
აჰ, ფიქრებით განახელა,
ღამეს დაველოდები.
ღამემ იცის ფიქრი განა?
დარდიანი ზმანება...
მოიხურავს შავ სულარას,
წარსულს დაემგვანება...
ეს ამბავიც გამაგონა,
ნიავეს უთხრა მალულად!...
მეგობრებო!.. დამაღონა
დარდმა და სიყვარულმა.

ხის ჭრილობა

იმავე ღამით ვაჟმა თურმე
წახა ავი ზმანება:
დაეტორათ ბედაურებს
ისე შეუბრალეზლად, —

ნატორალნი სისხლი სცემდა,
ნატყვიარის გვარადა...
ცხენი ცხრა მთას ვადსცილდა...
ცაში გაინავარდა.
ვაჟმა დაშნა მიაწვდინა,
მკერდში ვაუჩინარდა,
მთას ღრუბლები მიაწვინა
ზეცა რისხვით გრგვინავდა...
გაეღვიძა. შემოესმა
ბედაურის ჭიხვინი.
წამწამებზე ცრემლიც ესხა
განთიადის ჭირხლივით.
ხეს შეხედა; ხე სტიროდა,
და სიზმარი ენიშნა;
ხე ჭრილობას შესჩიოდა
და... ჭიხვინიც ცხენისა.
ტყიდან ღრენა გამოეყო
ამხედრებულ ნადირთა...
ხმა ხომ უნდა ამოეღო
და, ბავშვივით ატირდა:
„... ნუ შეკრთები, ეგ ტირილი,
სიყვარულით დამჩემდა,
ჩემო ხეო, რა ვიცოდი,
შენც ცრემლები გქონია!...
მე მეგონა, რომ ტირიფი,
მხოლოდ კდემას აჩენდა,
როცა მისი საცოდავი,
მოთქმა გამიგონია.
მოველ შენთან, და უბრალოდ
ამოვჭერი ნიშანი,
ო, მიყვარდა ტანწერწეტა,
შეგაწუხე, ამიტომ,
დაგავალე, დაუბარო,
ბადე მისი თმისანი;
შემომქსოვოს, გაიმეტოს, —
დამახრჩოს, ან დამინდოს.
რა ვიცოდი ტანმალალო,
თურმე გული გტკენია!...
გამეგონა ის ყვირილი,
გულს რომ გამოაჩენდა,
მითხარ, თავი რას ვახალო,
ეს რა მოგიტმენია!...
მეც ვიტყვებ, ეგ ტირილი
სიყვარულით დამჩემდა.
წყლიდან მათას ამოგიყვან

მოგზაურობებს კრილობებს.
ხე მეგონე, რა ყოფილხარ!...
ბრალი არი, სტიროდე..."

* * *

ჩუმად ვკითხე ნიავს მერე,
ხეს თუ რა აღარდებდა,
და პასუხიც დავიჯერე. —
სთქვა: შენც შეგიყვარდება!..
ხალხი ამბობს, პოეტს უთქვამს;
ციცნათელაც რომ იწვის, —
სიყვარულის ცეცხლი თუთქავს,
სიყვარული ამიწებს...

* * *

ღამემ მითხრა ეს ამბავი...
ხავსიანმა ლოდებმა, —
წმინდა ცრემლში განაბანი,
გამაგონეს გოდება.
იცის ღამემ ფიჭვი განა,
დარდიანი ზმანება, —
მოხსურავს ზვე სუდარას,
წარსულს დაემგვანება.
ეს ამბავიც გამაგონა, —
ნიავს უთხრა მალულად, —
მეგობრებო!.. დამაღონა
დარღმა და სიყვარულმა...

ღედღა

ღედღა იყო... ამღერებდა,
სწვავდა გულის ნაიარევს,
სიმღერებმა ცა და მიწა,
მერცხლებივით დაიარეს.
მისწვდნენ ხესაც, ხე მოსთქვამდა,
ქლურტულებდა ორი ჩიტი,
სიყვარულის ზღაპარს ჰგავდა.
ჩუმი მოთქმა, ცრემლი მშვიდი.
ეცემოდა საფლავს ცვარი,
და ვარდები ეცემოდა,
დანათოდა ზეცის თვალი.
ფართქალებდა მიწა ოდნავ.
აქ, ხის ძირას დამარხულან,
აქ ჰქონნათ დასასრული,

მზე და მთვარე დანახული,
მზეჭაბუკი და ასული.
აქ მოსულან, სამშობლოსთვის
აქ უღვრიათ სისხლი წმინდა.
სად იბრძოლეს, ეჰ, ვინ მოსთვლის,
ბოლოს... ბედი განაწყენდა.
ჰოი, დედა ატირებდა,
სწვავდა გულის ნაიარევს,
სიმღერებმა ნაპირებთან
ლერწმოვანი დაიარეს...

* * *

ამღერებდნენ ბავშვის აკვანს
მთები გადაშლილნი.
ცას შესწვდა და მერცხლებს აჰყვა:
— შვილი, შვილი, შვილი!..
იზრდებოდა... ერთი არა,
უთვალავი გვირი,
სიყვარულის, ვაჟკაცობის,
თავდადების დანაპირი.
ღედღა ჰყავდა, მამაც ჰყავდა,
ლომის მხრებთან იწვა.
ადგა, მიწას შეჰლაღადა:
— შენ, დედაო მიწავ!..
ამღერებდნენ ბავშვის აკვანს
მთები გადაშლილნი.
ცას შესწვდა და მერცხლებს აჰყვა:
— შვილი, შვილი, შვილი!..

* * *

მიხვდით განა? სიყვარული,
ეს მთებია, ეს ველები...
სისხლით მომცეს. გულსაც მივცემ,
სიცოცხლესაც შეველევი.
გაიშალა, გაიხარა,
ნაგვემი და შენაჩენი...
მე ჟრუანტელს დამანგვანა,
და სამშობლოს, — დედაჩემი!..
ვარსკვლავების თეთრი ღამე,
ცვარი მინდვრებს შენარჩენი,
წყაროს წყალი მოკამკამე, —
მამაა და დედა ჩემი...

მოკლივარ შენთან

დატოვე ალბათ ბევრი ჩემგვარი
და დაიხურა ხსოვნის რვეული;
შენი ოცნება ზეცაში დარბის,
მამაცის გულთან შეჯიბრებული.

ვარდებს დამიფენს ტკბილი ბავშვობა,
შმაგი ოცნება გულით ფარული,
ახლა დიადი მხარგაშლილობა,
შენი გმირობა და სიყვარული.

გახსოვს ის დამე, ფიქრი, ძახილი
(სად არ ყოფილა, სად არ უვლია),
შორეულია შეხვედრა ფრთხილი
და მოგონებაც შორეულია.

მის შემდეგ წლები ფურცლებნაქარგი.
მიმოაბნია ქარმა აწარმა;
წაშალა გულის ყველა ნათქვამი,
შენგნით ტყვე ლექსის პწკარიც წაშალა.

გნახე, გიპოვე გულმობარული;
ამიელვარე ფიქრი, ნუგეში,
და ეგ თვალეზი ფრთხილად ნახული
ლექსებს დაეძებს ჩემ საგულეში.

ახლა ცაში ხარ, ცა შემაყვარა
სათუთი ფრთებით ჰაერში რბენამ...
და ნაკვერჩხალი გადმომაყარა
შენზე სიმღერის განმეორებამ.

შე ცას ვუმღერე, მის გაოცებას
ვეჭრფოდი ბაღლი, მზარდა ამხელა.
ახლა შენა ხარ ჩემი ოცნება
და ლაქვარდების თვალის გახელა.

შეგყვარებია და გულს ვიამებს.
ცა კრიალა და წამწამრბეული,
ერთად ვხვდებოდეთ ნეტავ განთიადს
ღრუბლის კოშკებში ჩასახლებული.

ხედავ, ნათელი ზეცა მზიანი
ახალ კოშკებს და გალაფნებს აგებს.
ლაქვარდს გაგვიფენს ვარსკვლავებიანს
და სადარბაზოდ მოგვიფარდაგებს.

მოვალ, მოგყვები... შენს მსუბუქ ფრთებთან
კასაც საქებარ სტრიქონებს ვეტყვი,
წამო, ვიჭროლოთ, ვიმღეროთ ერთად,
ამ გულებს აბა რა უნდა მეტი!

დაე იავდროს, იქუხოს, წყეულ
ქარშიაც ერთად ვივლით სწორები.
მოვალ, მოვდივარ და დავიწყებულ
ყრმობის სიმღერებს განვიმეორებ.

ეზნაური

ფიცრულ დარბაზში, რომლის ერთი მხარე მთლიან გრძელ ტახტს მოეკავებოდა, ერთმანეთთან თავბოლო შექცეულად გაწოლილიყვნენ ისიდორე არჯევანიძე და სპირიდონ კიკნაძე.

სპირიდონი შეიძრა, ტახტზე წამოჯდა, გაღელილი მკერდი მოიქექა, უსიამოდ გადახედა მხვრინავ ისიდორეს.

— რავე გამიჭირა ამ ყაზახმა საქმე, მაინც რაფერ უბედურად ხვრინავს ეს ოჯახნასათესები, — და ერთი ძლიერი მუჯღუგუნის უთავაზა. — ადექი, კაცო, აწი ზეზე, თვარა ქე დაგვაგვიანდა.

ისიდორე გვერდზე გადაბრუნდა, თითქოს ჯიბრზეო, უფრო ხმამაღალი ხვრინვა ამოუშვა. სპირიდონმა ტახტის ბოლოზე დაგდებული ჩოხა აიღო, გაშალა, შეათვალიერა.

— კინკზე არ არის ეს ოხერი მიმდგარი. ეს თუ მალე არ გამოვიცვალე, მართლა ქეა გლახად ჩემი საქმე. ძან დროს კი გამიჩნდა ეს ისიდორე. გააზნაურდება თუ არა ეს ყაზახი, გამთელდება ჩემი ჩოხაც.

სპირიდონმა გაუყარა მკლავები გახუნებულ ჩოხაში. მივიდა ვიწროდ დაკუთხულ ფანჯარასთან. გაიხედა.

— ბიკოს, კაი დრო წამოსულა, უნდა აეჩქარდე, ბარემ იქნება მოულოდლო ამ საქმეს, თვარა მეც მომწყინდა ამდენი წანწალი.

მობრუნდა, თვალი შეასწრო კუთხეში მიგდებულ სავსე ხურჯინს. მიჰხედა, მიქელაძის მისართმევად გამზადებული ძღვენი იყო, თავის ქნევით წარმოსთქვა:

— ვაი, რამდენი სულელია ამ ქვეყანაზე, რავე ამსებს ოჯახს ეს სულელი აზნოუშვილობიზა. ნეტავ ქე შეიძლებოდეს, თვარა ახლავე გავყიდი. მარა, ესენი რომ არ გაეჩინა ღმერთს, ან მე რა მეშველებოდა მაშინ, ან კნიაზე მიქელაძეს!

ტახტს მიუახლოვდა და კვლავ რამდენიმე მუჯღუგუნის უთავაზა მწოლიარეს.

— ადე, კაცო, დაგვიანდა!

ახლა კი იკადრა ისიდორემ წამოდგომა. თვალეზი მოიფშენიტა, მძლავრად გააზმორა. ზედმეტი ღვინის სმისაგან დაწითლებული თვალეზი მოავლო გარემოს, სიცილით მიმართა სპირიდონს:

— ნეტავ შენი თავი არ დაანახვა, სპირიდონ, ჩემ თვალეზს. და მეტე არაფერი მინდა.

— ხო, ბიძა, ქე გაგიკეთე მიქელაძესთან საქმე, ახლა რალად გინდა სპირიდონ კიენაძე!

— ხა, ხა, ხა! უშენობა მაინც არ იქნება, ჩემო სპირიდონ. ჯერ სად არის. შე კაი კაცო. ის რაცხა აზნაურობის „ღრამოტა“ რომ მექნება ხელში, მერე ვიქნები თავისუფალი კაცი.

— ხო, ხო, ნუ გეშინია, ისიც მალე იქნება, აბა წევიდეთ ახლა.

— მეიცა, შე კაცო, ასე ხეფსგადაუყლაპავი სა მიმათრევ? — ისიდორემ კარი გამოაღო და გასძახა: — ტრიფონა, ბიჭო, ცოტა ჩავგაყლაპიე რამე!

ოთახში პატარა ბიჭი შემოვიდა, კედელზე ჩამოკიდებული დაბალი სუფრა ჩამოიღო. ტახტს წინ მიუდგა. ცხელი ხაჭაპურები, დოქით ღვინო, მჭადები და ლორის ხორცი შემოიტანა: მაგიდას მიუჯდნენ. სპირიდონმა ხელში ქიქა აიღო, წითელ ღვინოს გახედა.

— იცოცხლე, ჩემო ისიდორე, მართლა ყველაფრით სავსე ოჯახი გაქვს. ეს აზნაურობა გაკლია, აგერ ამასაც ქე იშონი, მერე ჩვენ ვეზღში კაცი ვერ გვაჯობებს.

— სწორედ ძაან მაკლია, სპირიდონ ჩემო, მავას თუ კი მოვესტარი შენი წყალობით, მერე აღარაფერი მიჭირს, უნდა ვითხრა სიმართლე.

— ჰო და, მალე მტერი მოგიკვდეს, ჩემო ისიდორე, მალე მე შენ ეგ სურხილი აგისრულო.

— უმაგისობა არ მარგია, ჩემო სპირიდონ. მე რომ წუხელი იმ წუნკალმა წამომძახა, — ვინ მოგცა, ყაძახო, მაგ იარაღის ტარების ნებაო, ყელში მომადგა სისხლი, — რას ეტყვი თუ იცი, თუ მევიგდე ეს აზნაურობა ხელში. მერე მე ვიცი და მაგენმა.

— აგრე, აგრე ჩემო, ისიდორე — ეთანხმებოდა სპირიდონი, თან მოზრდილ ლუკმებს აგზავნიდა პირისაკენ.

სპირიდონი წამოდგა, ჩოხის კალთა დაიბერტყა, კარებისაკენ წავიდა, ისიდორემ ხურჯინს წამოავლო ხელი, სპირიდონს გაყვა. აივანთან შეკაზმული ცხენები ელოდათ. ისიდორემ ცხენს ხურჯზე ხურჯინი შეაგდო, თვითონაც სწრაფად მოახტა და ორივენი ჩაქჩაქით გაუდგნენ სარიდან მიქელაძისკენ მიმავალ ვზას.

* * *

ისიდორეს ეზოში ერთი აურზაურია.

ისიდორე დაღლილობით ძლივსღა ქშინავს, გულგახეთქილი დასდევს წითელ მამალს დასაჭერად. მამალი ჩამტვრეულ ღობეზე შეხტა, ყელი მოიღერა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა დაიყვილა, თითქოს ქვეყანას ამცნობს: შემომხედეთ, რა ბიჭიც ვარო.

— ე ბიჭო ვენახიდან მოუარე, ვენახიდან. — უყვირის ისიდორე ტრიფონას.

ტრიფონა ვენახიდან მიეპარა მამალს, მაგრამ მამალმა ადრევე შეატყო მტრის მოახლოვება. შეიფრთხილა, იქვე ახლოს სამზარეულოს თავზე შეფრინდა

— ე, ბოშო, გამოდით გარეთ, რა ეშმაკს აკეთებთ მანდ?, — გასძახა სამზარეულოსაკენ ისიდორემ.

სამზარეულოდან მოხუცი დიანოზი გამოვიდა. დაკოჭრებულ ხელზე ყალიონის ბერტყვით, მას რამდენიმე ქალი გამოჰყვა. მათ შორის ყველაზე ხნიერმა, აკეცილი კაბის კალთები ჩამოიშალა, ისიდორეს მიმართა:

— რა იყო შე კაცო, რა დაგემართა? ერთი მამალი რაღა ვერ დეიჭირე ამხელა კაცმა! — თვალბზე ხელი მოიჩრდილა, ისე გახედა სამზარეულოს თავს.

ყველანი გამოუდგნენ მამალს. ხელმარდმა კესომ მალე მოიქცია ხელში.

— მეიტა აქ ერთი, ხელად წავწყვიტავ თავს, მაგ რჯულძაღლს. — ისიდორემ მაგრად შეუკურთხა მამალს.

— აწი, აზნოუშვილი რომ ხარ, ქე უნდა შეგეტყოს. გინებას თავი უნდა დაანებო. — ისიდორემ დას შეუბღვირა.

— კესარია, შოუბერე მაგ ცეცხლს, შოუბერე. ჩქარა გაბღღვენი ეგ სამგლე მამალი. თვარა ისე ვატყობ თქვენ ასე იბჟუალებთ საღამომდი. გოჭი გასაკეთებელია კიდო.

— ჩვენ კი არა და შენ კი დაბჟუალობ. შესძარი ქვეყანა ერთი მამლის დაჭერისთვის! — შეუტია დამ ძმას.

— კესარია, ბოშო, უფროსი და უნცროსი, არ უნდა იცოდე შენ? — უკმაყოფილოდ მიმართა კესარიას დიანოზმა.

— აზნატური... — გაგრძელებით და ტუჩის მალლა აწევით გააყოლა სიტყვა კესომ ძმას.

— წადი, წადი, შვილო ისიდორე, ბარემ ის გოჭიც დაკალი, რას უგდებ უფრს მაგას. — ისიდორე გავიდა. კესომ კერიის წინ დაიჩოქა, ცეცხლს დაუწყო შეგკეთება. მოხუცი მართლაც კერას მიუჯდა გვერდით. ჩურჩულით უთხრა:

— რატომ იცი, შვილო, ყველას მაგრე შეტოქება?

— აბა აყევით მაგ სულელს. თუ რამე გაგაჩნდათ გადაალია აზნოუშვილობას. დაჯექით ახლა, გეყოფათ ისიდორეს აზნატურობა. სანამ არ გამეიძლო მიქელაძემ მუცელი, მანამდი ქე გაზიდვინათ, ამალამ კიდე ქე გაძლება ერთი მაგრათ, — სხაპასხუპით მიაძახა დედას კესომ.

— რატომ, შვილო, რატომ იცი აგრე ახირება. ცუდია აზნოუშვილობა? შენც კაი აზნოუშვილს გავატან. ისე კი არ ვიზამ, შენი უფროსი დები, გლეხებს რომ გავატანე.

— ხო, ხო, რალა მიჭირს მაშინ. ამბერკია ეგერ აზნოუშვილი. ნეტაი მე, იმას თუ წაყვევი. რომელი გლეხი არ ჯობია ჩინთახვა ამბერკიას.

— ნუ იცი, გოგო, აგრე უცნაური ახირება, იმ გოგომ გავასულელა შენ. მარა არა, შვილო, ახლა რაილაი ამ აზნოუშვილობას ველირსე, შენ არ მოუკვდე მამაშენს, გოგიეს აღარ გავატანოს. — ჩაერია ლაპარაკში დიანოზიც.

— ხო, ხო, ხო, ამბერკია ჯობია, იმას გამატანე.

— გოგიე ქეა კაი ბიჭი, რაცხა თაფრიკაშიც მუშაობს, მაგრამ მაინც გლეხია, — სვენებსვენებით განაგრძო დიანოზმა. — ახლა შენი ძმა ისიდორე კაი აზნოუშვილი გახთა. კაი იარალს ეისხამს, მაშინ ყაზახის სიძობა კი არ შეეფერება.

— ისიდორე რალა არი? ერთი მითხარი. მიქელაძის მიცემული ნაგლეჯი ქალაღლი უშველის? ყველა დაცინის, ისიდორეს თუ რამე გააჩნდა, მიქელაძეს ჩააყლაპაო, აზნოუშვილობა მოუნდაო.

— ეხარბებათ, შვილო, ეხარბებათ, ყველა ჩვენი სახლიკაცი კიჭინაზე მსქდება, ჩვენ ქე ვიქნებით აზნაური და იგინი არა.

კარები გაიღო. სამზარეულოში შემოვიდა უკვე გამოწყობილი ისიდორე, თეთრი ახალუხით, შევერცხლილი ხანჯლით.

— შენ გენაცვალოს დედაშენი, რაფერ გიხთება ეს მორთულობა. გოგო, კესარია, ახლაც იტყვი ისიდორეს არ უხდება აზნაურობაო?

ყველანი გარს შემოეხვივნენ ისიდორეს.

— ახლა, შვილო, ის აზნაუშვილობის ქალაღი გაკლია, მერე კი ნამღვილი აზნაური იქნები. — ჩაიხითხითა კმაყოფილმა დიანოზმა.

— ა, მამაჩემო, საღამომღე კიღვე და, მერე ნამღვილი აზნაური ვიქნები.



დაღამდა.

ბინდი გადაეფარა ყველაფერს. ზამთარი ამ ბოლო დროს გაქინჭყლდა, თავის სიძლიერის გამოჩენა მოინდომა, ფართო ფანტელებით ჰფარავდა დედამიწას.

არჯევანიძის ოდიდან უჩვეულო სინათლე გამოდიოდა.

გიზგიზებდა ბუხარი.

ზრჩოლავდა კედელზე მიკრული ლამპა, ოთახში ნავთის სუნს აყენებდა.

ბუხრის თავზე მოუსვენრად ცმუჟავდა კარტოფილის სანთლის ენები.

მაგიდის შუა გამოჭიმულიყო კბილებდაკრეჭილი გოჭი. მოუსვენარი მამალი ლანგარით იღვა გოჭის გვერდით მაგიდაზე, აქა-იქ დაღმულ ღომს ოხშივარი ასლიოდა.

ოჯახის წევრები ბუხარს შემოსხდომოდნენ. განსაკუთრებულ ყურადღებით უგდებდნენ ყურს კარის ყოველ ხმაურს.

ძალი რაღაცას მძღავრად მოეჭიდა. ისიდორე წამოხტა, თეთრი ჩოხის სახელოები გადაიკეცა. ერთი ნახტომით უკვე კარში იყო. ტრიფონაც დაედევნა, მაგრამ მალე შემობრუნდა და სახლშიმყოფებს ასარა:

— მოვიდნენ! მოვიდნენ! — ჯალაბი წამოიშალა. ყველამ ეზოს მიაშურა.

ეზოში მალალი ტანის მოხუცი შემოვიდა. მისი ჟღალი წვერი თოვლის ფანტელებს გადაეთეთრებინა. ფეხების ბარტყუნით შემოვიდა აივანზე. უკან სპირიდონი მოსდევდა თავისი სანატრელი ახალი ჩოხით.

მიქელაძე ყველას მიესალმა, ისიდორეს მხარზე ხელის დარტყმით უთხრა:

— ყოჩაღ ყმაწვილო! ძაან გიხთება აზნაურობა, ვერც ქე ვერავინ მიხედება, თუ ოდესმე ყაზახი იყავი. ა, შენ რას იტყვი, დიანოზ?

— შენი წყალობით, ბატონო, შენი.

— ძალიან ვიწვალე, სიმართლე გითხრა, მარა თქვენთვის თავს რავა დეფიზოგავდი, მეზობლები ვართ, ხე, ხე, ხე! — ჩაიხითხითა მიქელაძემ, სურას გააცოლა თვალი.

ჯალაბი მოუთმენლად შესცქეროდა. მიქელაძე არ ჩქარობდა სანეტარო ქალაღდის ამოდებას, რომლის ძალით, ისიდორე არჯევანიძე სამუდამოდ აზნაური გახდებოდა.

ისიდორე მიქელაძეს მოუჯდა გვერდით, ჯიბიდან წითელი თუმნიანები ამოიღო, ფრთხილად მიქელაძის ჯიბეში ჩააცოცა. მიქელაძემ თითქოს ვერ

შეამჩნია. ხელი მეორე ჯიბეში ჩაიყო, ოთახში სიწყნარე ჩამოვარდა. თვალე-
დაცეცებული შესცქეროდნენ მიქელაძეს. მიქელაძე კი, განგებ ამწვავებდა ინ-
ტერესს, თითქოს ვერ ამჩნევდა მისკენ მიპყრობილ თვალებს. ნელა ამოიღო
ოთხადღაეცილი ქალაღი, გახსნა, ჩაახველა, თვალი გადაავლო მაყურებლებს.
კითხვა დაიწყო. არავის არ ესმოდა არცერთი სიტყვა, მაგრამ ყველანი სულ-
მოუთქმელად უსმენდნენ. მიქელაძე ხანგამოშვებით შეჩერდებოდა, დამსწრებს
თვალს მოავლებდა. უნდოდა გაეგო, რა შთაბეჭდილებას ახდენდა მისი კითხვა,
შედევით კმაყოფილი კვლავ კითხვას განაგრძობდა. დაამთავრა, ქალაღი ისი-
ლორეს გადასცა, დარიგებაც თან დაატანა:

— ხუმრობა კი არაა, რუსეთის მეფე იმპერატორი გიბოძებს აზნაურობას.
ეს ყველაფერი მე გავაკეთე სარიდონ მიქელაძემ.

ისილორემ ხელზე აკოცა მწყალობელს. სუფრაზე მოიწვია.

— მობრძანდით, ბატონო, შენი ჭირიმე, მობრძანდით.

მიქელაძე სუფრის თავში გამოიჭიმა. ისილორემ გოჭი მთლიანად დაუდ-
გა წინ.

— აბა, კესარია, ერთი დანაჩანგალი და ხელსახოცი მოართვი.

მაგიდაზე მართლაც გაჩნდა პირადად მიქელაძისთვის ერთი წყვილი დანა-
ჩანგალი და ხელსახოცი.

— აზნაურშილო, მოდი აქ. დამიმშვენე, გვერდი. — გააზნაურებულნი
ისილორეც გვერდში ამოუჯდა მიქელაძეს. დანარჩენებიც შემოუსხდნენ სუფ-
რას; გარდა მიქელაძისა და სპირიდონისა აქ იყო რამდენიმე ჩოხაგახუნებული
აზნაური. ისინი ნაძალადევი მხიარულებით ხვდებოდნენ ახალი წევრის მო-
მატებას.

ეზო ხმაურმა მოიცვა.

ძალი ვიღაცას უტევდა. ბუხრის წინ მიმჯდარი ტრიფონა წამოხტა,
ეზოსკენ გაიქცა. მალე შემოვიდა. კესოს რალაც ჩასჩურჩულა. ისილორემ სიტ-
ყვის დამთავრება არ დააცალა, ისე შესძახა:

— რა იყო, ბიჭო, ვინ არის?

— გოგია, ჩვენნი... — ისილორემ კარებისკენ მიმავალ კესოს სიტყვა და-
ადევნა.

— შემოიყვანე აქ, იცოდე თორემ, სულერთია, ძალით შემოვიყვან.

— ვინ არის, ვეუო? — იკითხა მიქელაძემ.

— არაფერი ბატონო, ერთი ყაზახია, ჩემი დაი უნდა შეერთო, მარა ახ-
ლა ქე ჩოუარდა კოვში ნაცარში, გლეს სიძეს რავა მევიეენ გვერდში.

— ახ, არა, ვეუო, მავ რავა გეკადრება! — დასტური დასცა მიქელაძემ.

კარი გაიღო, ოთახში მალაღი, ფართო მხარბეჭიანი ახალგაზრდა შემო-
ვიდა მუშის შავი ხალათით, უკან მოსდევდა სახეაწითლებული კესო. ღვი-
ნით შეჭიკჭიკებულმა ისილორემ მხიარულად შესძახა:

— რავაა, ყაზახო, საქმე! — ისილორეს ახარებდა „ყაძახის“ ხსენება, რად-
გან აწი მას აღარავინ დაუძახებდა ასე. — შემოსულმა ისილორეს სიტყვებს ყუ-
რადლება არ მიაქცია. დამხდურებს მიესალმა. კესომ ძმას მწყურალად გადა-
ხედა. ისილორე კი მაინც არ ცხრებოდა.

— არ ვიზარია, ყაძახო, ამდენ აზნაურებში რომ გელირსა ჩაჯდომა? —
მოსულმა კვლავ არაფერი უპასუხა. მიქელაძეს მიუგდო. ყური, რომელიც
ქალაქის ამბებს ეკითხებოდა.

— ქალაქში? — ბევრი ახალი ამბავი გახლავთ. ნიკოლოზი გადმოაგდეს. რუსეთში რევოლუტია მოხდა, და ეს ისიდორეს აზნაურობა ქე არ გაუქმდა! — სიცილით დაატანა მოსულმა და ისიდორეს გადახედა.

ყველანი შეჩოჩოლდნენ. ახალი ამბავი მეხივით გავარდა აზნაურების წრეში. ისიდორე ზეზე წამოიჭრა, თვალეზი დაუწითლდა, ბაგეები აუკანკალდა, მოსულისკენ მიიწია.

— რაო? რას ბუტუტურობს მაგ, ბოშო. ოთხი წელია ამ აზნაურობაზე დავწანწალოვ, ძლივს ველირსე, ახლა მაგ იძახის აღარააო. — სტუმრები წამოცვინდნენ, ისიდორეს დაუწყეს დამშვიდება.

— ვეჟო, ამ კაცს რას ერჩი, — აწყნარებდა მიქელაძე.

— რავა რას ვერჩი, ოთხი წელიწადია ტყვილა ვიწანწალე? შენი ძღვენის ზიდვით ზურგის კანი მაქ გადაქეცილი. ახლა მეუბნები აღარ არისო, — აღარც მიქელაძე მოირიდა ისიდორემ. გაწიწმატებული კესო მივარდა ძმას.

— შეისმინე, შე უტვინო, ნიკოლოზი აღარ არის, ვის რად უნდა მისი მოცემული აზნაურობა?

ისიდორე ამ სიტყვებმა გამოარკვია. მიიხედ-მოიხედა, უბიდან აზნაურობის ქალღი ამოიღო. მოწყვეტით დაეშვა სკამზე, გაშალა, დააშტერდა და უიციოცხლოდ წაიხურჩულა:

— ამიზა ვიწვალე ოთხი წელიწადი? ამიზა მივეცი მიქელაძეს, რაც რამე ნებადა?

ჩქალოვს

ფანდურისთვის — ხევსურული.

ეჰეი, საზღაპრო დევ-გმირო,
საბჭოთა მიწა-წყლისაო,
ჩვენი ჯიშისა, მოდგმისა,
განა ხავსიან წლისაო,
ლაღად, თამამად აღზრდილო
უბეში ბელადისაო,
არწივით-არწივო, ფრთოსანო,
წითელის ფოლადისაო!

კობამ რომ ცეცხლად უღვივა
სიყორულ მშრომელისაო,
გეტყობის შენამც მოგედო
ნაპერწკალ გულ-მკერდისაო;
ფრთა-ფრთას შემოჰკარ, გაფრინდო
მარშრუტი სტალინისაო,
თავი გასწირე, გასწიე
ცა ამერიკის გზისაო!

გადააფრინდი ხან მთა-ბარს,
ხან კლდე-ღრეს ხმელეთისაო,
გადაუშხუვლე მდინარეთ,
ბოროტ ტალღებსა ზღვისაო,
წამოუქროლე თეთრ მინდვრებს,
ლურჯ უფსკრულთ, ნაპრალებსაო,
დასძახ-დასკყივლე კლდეებსა
უპატრონთ ტიალებსაო!

განა ხედავდი მთვარესა,
ვარსკვლავებს, შუქსა მზისაო,
განა სჭერეტავდი ცა-მიწას,
გინდ შენსას, გინდა სხვისაო,
განაღა იყო ნავალი,
გზა-კვალი ფრინველისაო,
აჟანგულ-ჩაჟანგულიყო
სარქველი სამყარისაო!

მტერს უხაროდა აქადახ,
რომ გადევნებდა თვალსაო,
გული უცემდა, უტოკდა,
მისწევ-მოსწევდა წარბსაო,
ელოდა ჩაფერფლებასა
ცეცხლისა ბელადისაო,
ელოდა გაფიხებებსა
ფრთაწითელ ფოლადისაო!

შენ კი გულდინჯად მიჰქროდი,
ციდან გვაწვდიდი ხმასაო,
საპენტელათი ჰპენტავდი
ღრუბელსა, გეგონ მატყლსაო:
ჯანყსა რეკავდი ცაზედა,
ჰკიდებდი ჩირაღდნებსაო,
ყინულთ მთის მწვერვალებზედა
აკაშკაშდ კელეტრებსაო!

ზედ დედამიწის კოსროზე
აგუზგუზებდი ალსაო,
ფრთებით აყრიდი ნაპერწკლებს
მსოფლიო მშრომელ ხალხსაო,
რწმენა ჩაუდგი გულებში,
ძალღონე, მაჯა-მკლავსაო,
გადაუმრავლე დამცველი
საბჭოთა შენსა მხარსაო!

შინ რომ მოფრინდი, წინ დაგხვდის
კობაი კრემლის კარსაო,
წამოდგის გახარებული,
შემოგხედს ცეცხლოვანსაო,
გადმოგწვდის, გადმოგხვევის,
მიგიკრის გულით-გულსაო,
მხურვალე ტუჩით მოგტყორცნის
მხურვალე კოცნას შუბლსაო!

ამა დღიდანა გარდიქეც
დიდ ცეცხლად ბელადისაო,
იმედად, სიყვარულადა
მალამოდ ჰკრილობისაო,
სინათლედ, ელვარებადა,
ლამპარად სიბნელისაო,
ყველა მფრინავის ნუგეშად,
გზა გრძელი სიძნელისაო!

ჰოი მე!.. აღარ დაგცალდის
ღღეები სიცოცხლისაო,
თორემ ჩვენ დედამიწასა
შემოუქროლდი გარსაო.

დიდის ბელადის ცეცხლია:
შემოარტყამდი რკალსაო,
დაჰკიდდი ლაღებს, ზურმუხტებს,
ბროლისა ნატვრის თვალსაო!!

ეპეი, საზღაპრო დევ-გმირო,
საბჭოთა მიწა-წყლისაო,
არწივთ-არწივო ფრთოსანო
წითელის ფოლადისაო,
შენ დაგვიზარდე ბლარტები,
შეადგენს მთელსა ჯარსაო,
დედას უტირებს, ვინც ჩვენზე
ამოაელვებს ხმალსაო!!...



დედის ბარათი

ამოთაფლული გრძნობის ბარაქით
სიტყვა მოხუცი მხრებით ავწიე,
კოცნით შეკრული მცირე ბარათი
გამოვატანე შენთან არწივებს.

ახლა სტრიქონი მაქვს თითისტარად,
ზედ ფარტენივით სურვილებს ვართავ;
ნუშმა ყვავილი ბელტზე დაყარა
და გაზაფხული ჩამოდგა კართან.

ჰყვავის ატამი ხეივნებს შორის,
გადაუხსნია ტყემალს რტოები, —
ალაზნის პირად შრიალებს წნორი,
შრიალებს წნორი განმარტოებით.

რა ლამაზია ხავერდა მწვანე
და რა ლამაზი შემოღამება, —
თვალდაჩრდილული არტელის ყანებს
ვახედავ დინჯად და გეამება.

როგორც კახეთის ლაქვარდი წმინდა,
ისე შორიდან მაინც მენახე,
ამ გაზაფხულზე აქ იყო მინდა,
ქიგო შეუდგა ნამყენ ვენახებს.

მინდა მეჩვენო სიზმარში მაინც,
გულში ჩამენტო დიდის მზესავით;
შეხვდე ბელტებთან მეომარ რაინდს,
ნახო მარჯვენა მადლის მთესავი.

თუ იყავ დედის ძუძუსმწოველი
ფიქრის აკვანი გულში არწიე.
და ვაჟკაცი სიტყვა ყოველი,
საქვეყნო საქმედ გადააქციე.

მიპყე, მიჰბაძე ვმირის მაგალითს,
ვინც ჩამოთესა ქვეყნად დიდება, —
ოკეანეში ნაშობ მარჯალიტს
ობი აროდეს მოეკიდება.

იმაზე მეტი რა გაგიბედო,
რასაც მოხუცი ვფიქრობ ამ დილით:
ჩემგან შობილო, ჩემო იმედო,
არ შეარცხვინო დედის მანდილი.

ნაყამირალზე ვარდები ცვივა,
ცვივა ვარდები ჯერ არნახული —
და მენანება, რომ ჩაქრა ცივად
ჩემი ბავშვობა და გაზაფხული.

ჯანდაბას — დღეებს გაჰყვა წყვილიდი,
მწვანე აპრილმა მეც გამახარა,
ნუშმა ჩამოხსნა ცას განთიადი,
ნუშმა ყვავილი ბელტზე დაყარა.

და რაც მინდოდა დედური გრძნობით
ფიქრი გულიდან ამომეტანა,
აი მოგწერე, — იყავ მშვიდობით,
გამარჯვებული შერჩი ქვეყანას!

კლასიკური მემკვიდრეობა

მიხეილ ლერმონტოვი

ლგოლვილი

მთიულუბი ლეგენდა

ირემზე მარდად გარბის ჰარუნნი,
არწივნადევარ კურდღელზე

მკვირცხლი;

გარბის ბრძოლიდან გამოპარული,
სადაც იღვრება ჩერქეზთა სისხლი,
მამა, ორი ძმა — გამბედავები —

თავისუფლებას ემსხვერპლენ დიადს,
და მტვერწაყრილი მათი თავები

ვერაგ მტრის ტერფქვეშ უწყალოდ
გდია.

ჩქევს მათი სისხლი, ითხოვს გადახდას,
ჰარუნს არ ახსოვს სირცხვილი, ვალი,
ბრძოლის ქარცეცხლში სადღაც

დაკარგა

შაშხანა, ხმალი — და გარბის მხდალი.

დღე მიაშალა; ნისლის ქულებმა,
მთიდან ლაშქრებად წამოსულებმა,

თეთრი ზეწარით მოფინეს არე;

დაკრა სიცივემ აღმოსავლეთით

და უდაბნოზე ოქროს თვალეზით

ნელა გადმოდგა კაწკაშა მფვარე...

ქანცგაწყვეტილი ფერმკრთალ სახეზე

სისხლს და ოფლს იწმენდს ჰარუნნი

ახლა,

ჰა, კლდეთა შორის მთვარის ნათელზე

მან მშობლიური აული ნახა;

ის მთვლემარ ხევში მალვით შევიდა...

დუმისლს მოუცავს ყოველი ბინა,

საბედისწერო შეტაკებიდან

ის-ლა დაბრუნდა უვნებლად შინა.

ნაცნობ ქობისკენ მიუხარია,

იქ სინათლეა, ჩანს შინ არიან;

გამხნევედა რაც კი შესწევდა ძალა,

მიწურის კარი შეაჭრიალა;

უწინ მეგობარს ეძახდა სელიმს,

მან ვერც კი იცნო სტუმრადმისული;

ლოგინში, მარტოდ, წამებულს სენით.

დაუკენესავად ჰხედებოდა სული.

„...დიდება ალაჰს! ბოროტ შხამისგან

მან ანგელოზებს დააშლევინა

შენი დაღუბვა და ცოცხალი ხარ!“

— „ახალს რას მეტყვი?“ — ჰკითხა

სელიმმა,

მკრთალი ქუთუთო ასწია ნელა,

თვალმა იმედის ცეცხლით იელვა!...

წამოიწია და სიკვდილის წინ

ისევ აჩქროლდა მებრძოლის სისხლი.

„ხევში ორი დღე მედგრად ვიბრძოლეთ...

მომიკლეს მამა, მომიკლეს ძმები,

მე შურდულივით გადმოვიქროლე,

ნადირის მსგავსად დევნილმა, მთებში.

ჩირგვებითა და წვეტიან ქვებით

ფებდაკაწრული, თვალანთებული,

უცნობ ბილიკებს ჩამოვყევე ქვევით

მგლის და ტახის კვალს ადევენებული.

ჩვენ ვიღუბებით — მტერი ტყვიით

გვწყვეტს...

მიმიღე. თუ კი ჩემი დახსნა გსურს;

ალაჰსა ვფიცავ — ამ შენს

სამსახურს

შავ სამარემდე არ დავივიწყებ!..

და მომაკვდავმა გულშემზარავად
მიუგო: „წადი, ზიზღის ღირსი ხარ,
არც შესაფარი, არც ტკბილი სიტყვა
შენებრ ლაჩრისთვის მე აქ არა მაქვს!..“
ჰარუნს მოთმენა აღარ ჰყოფნიდა,
ქირდვა, სირცხვილი სტანჯავდა
მწარედ,
პირქუშ მასპინძლის დაბალ ქოხიდან
ხმაგაკმენდილი გავიდა გარეთ...
მეორე ქოხის კარებს რომ გასცდა,
უცებ ნაბიჯი მან შეანელა
და განვლილ დღეთა მკრთალმა
ზმანებამ.

ისე, ვით კოცნის მხურვალე განცდამ,
იმის ცივ შუბლზე დაანთო ალი,
შან ოგრძნო სულში გრძნეულის ძალით
სინათლის შეჭრა; ამ ბნელ ღამეში
მას მოელანდა — თითქოს ალერსით
ქალის თვალებმა იელვა მის წინ
და გაიფიქრა: „ის მეტრფის, ვიცო;
ის მხოლოდ ჩემით ცოცხლობს და
ლალობს“...

უნდა მიწურის კარი შეაღოს —
უცებ სიმღერა ესმის-სახლიდან...
და ის მთვარეზე უფრო გაფითრდა:
„მთვარე ცურავს ცაში
განაბული, მშვიდი.
და ბრძოლაში მიდის
მეომარი ვაჟი.

თოფსა სტენის მოჯირითე მარჯვე
და ქალწული დაროგებას აძლევს:
საყვარელო, აჰყევ
ბედისწერას შენა,
ლოცულობდე ზენას.
უერთგულე რწმენას.
ემსახურე სახელს.
ვინც გაურბის ისარს —
შოლალატე ხდება,
არდამმხობი მტრისა
უსახელოდ კვდება.
არ მორეცხავს წვიმა წყლულებს მისას.
და ძვლებს მხეციც არ მიაყრის მიწას.
მთვარე ცურავს ცაში
განაბული, მშვიდი.

და ბრძოლაში მიდის
მეომარი ვაჟი“.
თაფაქინდრული, აღნაშფოთები
ის გზას განაგრძობს, შესაფარს ეძებს,
დიდრონი ცრემლი დროგამოშვებით
წამწამებიდან ეცემა მკერდზე...
აი, ქარიშხლით დაქანებული,
გამოჩნდა მის წინ მშობლური სახლი
და კვლავ იმედით გამხნეებული
იწყებს ჰარუნს კაკუნს და ძახილს.
იქ, სახლში ახლა, უეჭველია,
მასზე ლოცვები ადიან ღმერთთან;
მოხუცი დედა ბრძოლის ველიდან
ელის შვილს, მაგრამ შვილს სხვებთან
ერთად.

„დედავ, გამიღე! მტრისგან დევნილია
შენი ჰარუნი შენ ნახვას ვნატრობ.
რუსების ტყვიებს გადაჩენილი
მოვედი შენთან!“ — მარტო ხარ? —

„მარტო“...
— მამა, ან ძმები სადღა არიან?
— „მოჰკლეს! გულებმა შესწყვიტეს
ძგერა,

სულთა სავანე ზეცის არეა.“
— შენ მტრებზე შური იძიე? — „ვერა...
დავკარგე ხმალი და გამალეებით
გავიჭერ მთაში, ვირბინე ქმენით,
რომ მენუგეშნა შენი თვალები
და მომეწმინდა ცრემლები შენი“...
— ხმა, ვიაურო! არ დასძრა კრინტი!
იქ გმირულ სიკვდილს თუ შეუშინდი —
არ გვეცხოვრება მე და შენ წყვილად.
თუ ვაჟკაცობა ვერ შეიფერე —
არ გავიმწარებ შენით სიბერეს,
მონავ, მშიშარავ, აღარ გთვლი
შვილად!..“

თავზარდამცემი ვაჟიცხვა შეწყდა,
ირგვლივ ძილია და მდუმარება.
წყევლა, ჩივილი, კვნესა და ხვეწნა
დიდხანს ისმოდა ქოხის კარებთან;
ბოლოს, სხვა გზით რომ ვერაფერს
გახდა,
ხანჯლით ჩაიჭრო სირცხვილის ალი...
დედამ ის დილით უძრავი ნახა...
და მოარიდა გულგრილად ფვალი.

ცხედარს, მართალთა წრიდან
განდევნილს,
ზედ არ შეხედა არავინ ნალვლით,
ღრმა ჭრილობიდან ღვარად ნაღენ
სისხლს
ღრინით ლოკავდა ქოფაკი ძაღლი.
ცივი სხეულის მიმართ აუგად
ისმოდა იქვე გინება ბავშვთა,
ლტოლვილის ტანჯვა, მისი დაღუპვა
თავისუფლების თქმულებად დარჩა. —

მისი სული კი წინასწარმეტყველის
თვალეებს გაექცა შიშით და კრძალვით.
მისი აჩრდილი აღმოსავლეთის
მთებში გაივლის ყოველდამ მალვით, —
როცა განთიადს ნახავს მოვერცხლილს,
კაკუნით ითხოვს — შეუშვან სახლში;
მაგრამ ყურანის პწკარი მოესმის
და გარბის უღრან მიდამოებში,
ისე, ვით უწინ გაექცა მახვილს.
თარგმანი ანდრო სიჭინავასი.

გიხვილ ლეჩოხოვი

უკანასკნელი დაბინავება

მაშინ, როდესაც საფრანგეთი გაბრწყინებული
მის ცივ ფერფლს ზვდებდა აღტაცების ყიჟინით, ტაშით,
ვინც დიდი ხნის წინ, შებორკილი, გაძევებული,
ჩაკვდა წყვილიაღში და წამებაში;

ოდეს ქვეყანა საამებელ ხოტბის ვალობით
გვიან სინანულს აგვირგვინებს წრეგარდასული,
და ბრბოც ამაყობს თავის ამგვარს საქმიანობით.
რომ დაავიწყდა ჩერჩეტს წარსული...

მე გულში გრძნობას მოზვავებულს ველარ ვათავსებ,
და აღშფოთებულს ამ ზვიადურ ზეიმის ნახვით
მომესურვება, ხალხს დიდებულს შევსძახო ასე:
ო, შენ ხარ ფუჭი, საბრალო ხალხი!

შენ ხარ საბრალო, რადგან რწმენა, სახელი, ნიჭი,
და ყოველივე, რაც დიადი, წმინდაა სოფლად,
ბრიყვის დამცინავ ღიმილთ და ბავშვური იჭვით,
მტვერში გათელე შენ დაუნდობლად.

მლიქვნელთ ტიკინად შენ აქციე სახელდიდება,
თავისუფლება კი ჯალათის სისხლიან ბასრად,
და ყველა ანდერძს წინაპართა, მოურიდებლად,
ამ ბასრით სჩეხდი და სჩეხდი მკაცრად.

ილუპებოდი... მაგრამ ამდროს შენ გვევლინება
ღეთისგან რჩეული, მრისხან მზერით სხივების მფენი;
კიდით კიდემდე ის ბელადად ხალხმა ინება,
მას შეუერთდა სიცოცხლე თქვენი.

ძვირფას სამოსელს დიდებისა და ძლიერების
გაცმევდათ იგი, კვლავ აღსდექით მის მეფურ ჩრდილში;
და თქვენ აღდგენას შესცქეროდნენ ყველა ერები,
დადუმებულნი, კრძალვით და შიშით..

ის იყო ცივი, ყველგან მართო და განუყრელად,
მამა ჭაღარა მოლაშქრეთა, დიდების დროშით:
დამორჩილებულ ვენის ბჭესთან, ეგვიპტის ველად,
ცეცხლითანთებულ მოსკოვის თოვლში...

სთქვით; რას შვრებოდით, უცხოეთის ველებზე, როცა
იღუპებოდა ის ამაყად, უშიშარ სახით?..

ო, თქვენ არყევდით მაშინ რჩეულ სახელმწიფოსა
და სიბნელეში ლესავდით მახვილს.

თქვენ, უკანასკნელ, გამძაფრებულ მძიმე ბრძოლაში,
შიშით სირცხვილის რომ დაჰკარგეთ გრძნობა, გონება...
ვით დედაკაცმა უღალატეთ, გასცვალეთ სხვაში,
გაეცით ისე, როგორც მონებმა.

და რომ აჰყარეს უფლება წმინდა,
მან თვით მოიხსნა დამსხვრეული გვირგვინი თავზე;
მან ღვიძლი შვილი დაგიტოვათ ძვირფას საწინდრად,
მაგრამ თქვენ შვილიც მტერს შესთავაზეთ.

მერე დასქედეს სამარცხვინო ბორკილით იგი,
გმირს მოაშორეს თვალცრემლიან მებრძოლთ კრებულნი,
და უცხო კლდეზე, ტყვეობაში, ლურჯ ზღვების იქით,
ის ობლად ჩაჰქრა დაეწყებულნი.

ის ჩაჰქრა ობლად, წამებულნი ამაო ხვედრით,
იყო ამაყი მისი ტანჯვა და ჩუმი ღელვა,
და ვით უცნობი მეომარი, საცმელით მხედრის,
მიწაში ჩაფლა მოსყიდულ ხელმა.

გავიდა ხანი, ფუჭი მოდგმა გაჰყვირის ახლა:
ღე აქ მოგვართვი, შეუცვალათ წმინდა ნეშტს ბინა...
იგი ჩვენია. მის მომავლის თესლს შევიწახავთ
კედლებში, მან რომ გადაარჩინა.

და ის დაბრუნდა სამშობლოში... მის წინ, ვით წინათ
დარბიან ხელნი, შემორტყმიან გარშემო ჯარად;
დიდი ქალაქის შუაგულში კუბო რომ ბრწყინავს,
შიგ ძვლებს დაფერფლილს აწყობენ წყნარად.

თუმც ძლიერ გვიან, წარმატებით ნატვრა ზომ ახდა!
დღეს იმ ზეიმის სანაცვლოდ სხვა ესახებათ...
მის გულზე დადის კმაყოფილი ზითხითით ახლა
ბრბო, მის წინაშე რომ ცახცახებდა.

რომ დაეფიქრდები, ერთი მტანჯავს მე კაემანი:
რად დარღვეულა მის გარშემო სიჩუმის ნისლი...
ვინც უდაბნოში ძილს ითხოვდა ამდენი ხანი,
იყო სიწყნარე ოცნება მისი.

თუ ვმირის სული მოფრინდება გაფითრებული,
შეავლოს თვალი თვისი ნეშტის სამყოფელს ახალს,
რა აღშფოთებით აღუღდება აქ მისი გული,
თავის აკლდამას რომ დაინახავს...

რა სინანულით მოინატროს, რა სიმწუხარით;
შორეულ ცისქვეშ, სიციხიანი, კუნძული ბნელო,
სად მას დარაჯად ოკეანე უდგა მწუხარი,
მისებრ ღიადი და უძლეველი.

თარგმანი ლავით გაჩეჩილაქისა

ს რ ი ბ ი ა ა

გიორგი ლომიძე

ამხანაგი სტალინი გორკის ზღაპრის შესახებ

1.

1931 წელს მაქსიმ გორკი ცხოვრობდა მოსკოვში, მალაია ნიკიტსკის ქუჩაზე. ერთ დღეს ალექსი მაქსიმის-ძეს სტუმრად ეწვიენ უახლოესი მეგობრები—ხალხის დიდი ბელადი ამხანაგი სტალინი და თავდაცვის სახალხო კომისარი ამხანაგი ვოროშილოვი. ამხანაგმა სტალინმა და ვოროშილოვმა სთხოვეს გორკის, რომ მას წაეკითხა რომელიმე ნაწარმოებთაგანი. ალექსი მაქსიმეს-ძემ ამოარჩია ზღაპარი „ქალიშვილი და სიკვდილი“ და ეს არჩევანი შემთხვევითი როდი იყო. ზღაპრის ბრძანულმა აზრმა, უშიშრობის, ადამიანის სულის ღონის, სიამაყის, სიცოცხლის გამარჯვების მომხიბლავმა პოეზიამ წარუხიოცელი შთაბეჭდილება დასტოვა ამხანაგ სტალინზე და ვოროშილოვზე.

ამხანაგმა სტალინმა ზღაპრის დასასრულს, მარჯვენა კუთხეზე ფანქრით წააწერა ალტაცებით აღსავსე სიტყვები: „ეს ნაწარმოები უფრო ძლიერია, ვიდრე გოეთეს „ფაუსტი“ სიკვდილს აშარცხებ სიყვარული სამი სიტყვა ამხანაგმა სტალინმა განსაკუთრებით გამოჰყო ხაზგასმდით.

ამხანაგ სტალინის მოხდენილ წარწერაში გენიალური ხუროთმოძღვრის ხელითაა გამოძერწილი გორკის ჰუმანიზმის დედაძარღვი, ამ ზღაპრის უზარმაზარი ესთეტიკური სიმშვენიერე და დიდბუნოვანება, მისი ადგილი მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში! რომ უფრო ნათელი გახდეს ამხანაგ სტალინის წარწერაში ჩაქსოვილი აზრის სიღრმე, საჭიროა გადავხედოთ ზღაპრის შინაარსს, ზღაპრის დაწერის ისტორიას.

2

გორკი თავისი ლიტერატურული მოღვაწეობის პირველ პერიოდში (დაახლოებით იმ წლებში, როცა იწერებოდა „ქალიშვილი და სიკვდილი“) და მოგვიანებითაც ხშირად მიმართავდა ზღაპარს, თქმულებას, ლეგენდას („მოხუცი აზერგული“, „მალვა“, „მაკარ ჩუღრა“, „იტალიური ზღაპრები“ და სხვ.). გორკის იტაცებდა არა მარტო მოკაშკაშე მხატვრული სამოსელი ზღაპრებისა, ზღაპრების სადა, მოწკრიალე ენა, მათი უხვი მეტაფორიულობა, არამედ იდეური მხარე, ზღაპრების იდეური სილამაზე და სიდიადე. ზღაპრებში, თქმულებებში, „ბილინებში“ დევგმირებზე (ილია მურომეცი, დობრინია ნიკიტინი, ალიოშა პოპოვიჩი) რუსეთის დიდმა ხალხმა ამოქარგა თავისი საუკუნოებრივი

ოცნება უკეთესი, თავისუფალი ცხოვრებისაკენ. მან მოელვარე, მარად უტკნობი საღებავებით მოაფარაყა ძლიერი ნებისყოფის ადამიანი-გმირი, ხალხის ჭმუნვის მესაიდუმლე. თავდადებული მომხრე დაჩაგრულთა და შეურაცყოფილთა. ხალხის გენიით გასხივოსნებულ, ხალხის წილში აღმოცენებულ ვაჟაკურ ეპოსში უქრობ კანდელივით ერთო დაულალავი რწმენა, იმედი მომავლისა, მუდმივი ლტოლვა მზიანი სიცოცხლისაკენ.

მოხსენებაში მწერალთა პირველ სრულიად-საკავშირო ყრილობაზე, გორკი აღნიშნავდა ზღაპრების სწორად ამ ტიპიურ მხარეს—წარმოსახვის, ხალხის აზროვნების საოცარ უნარს, ვახიხლოს ფაქტების მიღმა, შორეულ საოცნებო მომავალში. სტატიის „ზღაპრებზე“ გორკი ანვითარებს და აღრმავებს ამ აზრს. ზღაპრები — ამბობს გორკი — „შუქს მინათებდნენ ახალი ცხოვრებისაკენ, სადაც არსებობდა და მოქმედებდა რაღაც თავისუფალი და უშიშარი ძალა. ზღაპარი „ქალიშვილი და სიკვდილი“ მხატვრული უკუფენაა გორკის ამ დიდებული სიტყვებისა.

3

„ქალიშვილი და სიკვდილი“ ა. მ. გორკიმ დასწერა 1892 წელს და დასასტამბავად გაგზავნა გაზეთ „ვოლჟსკი ვესტნიკში“. გაზეთის გამომცემელმა რეინჰარდტმა ზღაპარი მიიჩნია „უცენზუროდ“ და უარი სთქვა მის მოთავსებაზე. 25 წლის განმავლობაში ვერ იხილა დღის სინათლე ზღაპარმა. იგი პირველად დაიბეჭდა მხოლოდ 1917 წელს გაზეთ „ნოვიაა ჟიზნი“ № 82. (23 ივლისი ძველი სტილით). 1918 წელს გორკიმ „ქალიშვილი და სიკვდილი“ შეიტანა ნაწარმოებთა კრებულ „ერალაში“. 1923 წლიდან ზღაპარი იბეჭდება გორკის თხზულებათა კრებულში.

ზღაპრის შინაარსი მოკლედ ასეთია. *)

სოფლად მოდის მეფე ნაომარი,
მოდის, უღრღნის გულს ბოროტი სევდა,
შემოესმა ანწლის იქით მდგარი
ქალიშვილი ლაღად კისკისებდა.

მეფე განრისხებული მივარდება ქალიშვილს და აბჯრის ჩხარუნით ეკითხება:

— „რა კბილთ ღრქენა და ხითხითი არი...
როცა მტერმა ასე დამამარცხა,
მთლად გაჟლიტა მტერმა ჩემი ჯარი!

მე, შენს მეფეს დღეს სირცხვილი მტანჯავს,
და შენ, ბრიყვო, მითხარ, რა გახარებს?

ქალიშვილი უშიშრად შეეპასუხა:

— „მიჯნურთან ვარ, შენ რამ შეგაწუხა?
წადი, ძიავ, წადი დაგვაცალე“.

სად გცალია მეფეს ესაუბრო,
აიყვარულთან თუ საუბრობს გული.
ღვთიურ ტაძრის ნაზ სანთელზე უფრო
ჩქარა იწვის ხშირად სიყვარული.

*) ზღაპრის ძირითადი თარგმანი ეკუთვნის პოეტ დ. გაჩეჩილაძეს.

ველური სიბრაზისაგან ათრთოლებული მეფე უბრძანებს თავის დიდებულთ დაახრონ ქალიშვილი

დრდებულთ და მეჯინიბეთ ხროვამ
გადაუგდეს სიკვდილს ქალიშვილი.

და აი ქალიშვილი საიქიოშოა. იგი უამბობს სიკვდილს მეფის უსამართლობაზე, თან ემუდარება.

ჰე სიკვდილო, შეგთხოვ, გამიგონე,
ერთხელ მომეც ალერსობის ნება.

ცოტა არ იყოს განცვიფრებული სიკვდილი მაინც შეიბრალებს ახალგაზრდას.

— „ქარგი, წადი, დამით იალერსე,
სულ ერთია, მოგკლავ გარიჟრაჟზე“

დაპირებული ვადა გავიდა. ქალიშვილი არ მოვიდა თავათ. სიკვდილი ფეხს მოირგებს ქალამან ფეხსახვევს და გზას გაუდგება შავ ღრუბელზე უფრო მკაცრი.

და საათის შემდეგ, ჭალატყეში
ნორჩ კაკლის ქვეშ ნახა გოგო მჯდარი
მთვარის შუქში, ატლას ბალახებში,
გაზაფხულის ქალღმერთს შესადარი.
ვით უბუმბლო, ნორჩი გაზაფხული,
უსირცხვილოდ გაედელა მკერდი,
და აბრეშუმ კანზე ანაკეთული,
წითლად აჩნდა კოცნის ვარსკვლავი.

ქალიშვილის კალთაში მოღლილი ირემივით სთვლემდა ვაჟი. სიკვდილი დრტვინვით და სიანხხლით იწყებს საყვედურს.

— ვითომ რაო, ჩამალუღობარ ჯაგში,
თითქო უფალს ემალები ევა.

ქალიშვილი თამამად მიუგებს

— „ო, შეჩერდი, არ გამიწყრე; არა,
ბასრი ცელით ნუ ეღარუნებ, საწყალს
ნუ მაშინებ, ნუ მიცქერი მკვახედ,
მყის წამოვალ, რომ ჩავიდე საფლავს,
ეს ვაჟი კი დიდხანს შემინახე.

და გოგონა მღერის

— „როს მებვევა ვაჟი,
ცაც და მიწაც მავიწყდება მაშინ,
სხვაგვარ ძალით ათრთოლდება სული,
სხვაგვარ ცეცხლით იწვის ანთებული.
აღარა მაქვს შიში ბედის წინა“.

სიკვდილი სდუმს „ელვად უვლის ძვლებში, შურის ელვად ეს სიტყვები თქმული“. ის პირველად ხედავს ასეთ სიძლიერეს პრიოვნებისას, ასეთ თვალის-

შომჭრელ ზიზღს და გულგრილობას ბედისწერის მიმართ და მის ბნელ გულში გაიდევძებს სინათლის და სიმწუხარის გრძნობა.

— „მოხდეს საოცრება,
გამიშვიხარ, დე ცოცხლობდე ვარდი,
მაგრამ ყველგან, სადაც არ იქნება,
სიყვარულთან ივლის ჩემო ლანდი“.

იმ დროიდან თითქო განუხრელი სიკვდილი და სიყვარული მოგზაურობენ ერთად და დაულალავად აშენებენ სიყვარულის სიხარულს და სიცოცხლის ბედნიერებას. რით ენათესავენა გორკის ზღაპარი გოეთეს „ფაუსტს“? სად არი „ფაუსტისა“ და გორკის ზღაპარის შეხების, მათი განშორების კუთხე? საკითხის გამოსარკვევად საჭიროა რამდენიმე სიტყვა მივუძღვნათ გოეთეს „ფაუსტს“

გოეთეს „ფაუსტი“ ენციკლოპედიაა მე-18 საუკუნის ევროპის ცხოვრებისა, პოეტური სულის დიადი ქმნილება (პუშკინი). ენგელსი გოეთეს სთვლიდა თავის ეპოქის დიდ გერმანელად. მარქსმა „აღსარებაში“ საყვარელ მწერალთა სიაში შექსპირსა და ესკილთან ერთად გოეთეს გვარიც მოათავსა. ლენინს არაერთხელ მოუყვანია გოეთეს ნაწარმოებიდან გამგმირავი, მახვილი სახე-ფორმულები (მაგალითად ფილისტერის ტბის მეტად მარჯვე განსაზღვრა გოეთეს მიერ. ლენინი ტომი 18, სტატია „მე-2 ინტერნაციონალის კრახი“)

გოეთე საყოველთაოდ აღიარებული გენიოსია, მსოფლიო ლიტერატურის ერთი ყველაზე შესანიშნავი მწერალთაგანი, აზრისა და გრძნობის ტიტანი, რომლის მზგავსი დედამიწის ზურგს ბევრი არ უტარებია. გორკის პატარა ცქრიალა ზღაპარმა მაინც გაიმარჯვა ამ ბუმბერაზთან ჭიდილში.

რატომ დააყენა ამხანაგმა სტალინმა გორკის ზღაპარი მთელი თავით მალა გოეთეს „ფაუსტზე“? ჩვენ შევეცდებით ოდნავ მაინც დაეუახლოვეთ ამ ანალოგიის გამოტანას ფრჩხილებიდან.

გოეთეს „ფაუსტში“ არის თამამი ცდა საშუალო საუკუნეთა კომპარული სინამდვილიდან გათავისუფლებისა. ფაუსტი ამხსვრევს ფეოდალური ეპოქის დოგმატიზმს და ავტორიტარულ მსოფლმხედველობას, ეპოქის სოციალურ მორალურ კანონებს. ის გამოდის ბნელეთიდან გონების შუქით განათებულ გზაზე, თავისუფალი, ლალი, შეუბოჭველი ცხოვრებისაკენ. ფაუსტს სურს მსოფლიო პროცესის შემეცნება, აბსოლუტური ჭეშმარიტების ამოხსნა. ის მიდის ამ მეცნიერებისაკენ უდიდეს წინააღმდეგობათა გზით. ფაუსტს ესმის — მიუხედავად იმ დანაშაულისა, მიუხედავად იმ უზარმაზარ დაბრკოლებებისა, რომელიც წამოიჭრება აბსოლუტური ჭეშმარიტების ძიების პროცესში, მისი მოქმედება მაინც სწორია და ადამიანის წინწამყვანი.

ფაუსტი ცოცხალი განსახიერებაა წინსვლისა, ძიებისა, მოძრაობისა, მუდმივი დაუქმყოფილებლობისა არსებული გერმანული სინამდვილით, ფეოდალიზმის დახუთული კედლებით, სქოლასტიკური აზროვნებით, რელიგიით. ფაუსტის უარყოფა, თუ ვნებავთ, დიალექტიკური უარყოფაა, უარყოფა, როგორც ცხოვრების განვითარების ფორმა. ფაუსტის უარყოფა კონკრეტულ-საკაცობრიო ხასიათის მქონეა. კონკრეტული იმიტომ, რომ ფაუსტი უკუაგდება იმდროინდელ ბიურგერულ გერმანულ სინამდვილეს, საკაცობრიო იმიტომ, რომ იგი მიიღტვის ადამიანური ცხოვრების უფრო მაღალი, უფრო მშვენიერი, უფრო სრულყოფილი იდეალისაკენ. ფაუსტი ბოლოს პოულობს ამ იდეალს.

ის დევნის ზღვას მიწიდან, ამ მიწაზე სახლდება ხალხი, რომელთაც ფაუსტი აძლევს სრულ თავისუფლებას. მაშინ შეიცნო ფაუსტმა ადამიანის დანიშნულება, — ადამიანმა უნდა იცხოვროს თავისუფალი საზოგადოებისთვის, და იგი მიმართავს საწუთროებას: „მშვენიერი ხარ, საწუთროებავ, ო შეჩერდი“, მაგრამ ფაუსტი კვდება: კვდება მეფისტოფელის ნებისყოფით.

ვინ არის მეფისტოფელი? მეფისტოფელი ფაუსტის ორეულია. ეს კარგად ესმოდა გოეთესაც. ფაუსტი და მეფისტოფელი ერთი პიროვნებაა, გაპოზილი ორ მტრულად დაპირისპირებულ ძალად. მეფისტოფელი გოეთეს სიტყვებით: Den Geist der stets (უარყოფის წმინდა სულია). ეჭვი არ არის, მეფისტოფელის სკეპსისში, მეტაფიზიკურ წარმოდგენათა დარღვევაში, დაკანონებულ ტრადიციების მასხარად აგდებაში გამოსქვივის პროგრესიულობა, როგორიღაც სული „კრიტიციზმისა“, მაგრამ მეფისტოფელისთვის უარყოფა აბსოლუტური ხასიათის მატარებელია, უარყოფის ერთგვარი აბსტრაქტული იდეა, ადამიანის ცხოვრება არარაობაა — აქ მარხია მეფისტოფელის სკეპტიციზმის სათავე.

ფაუსტის და მეფისტოფელის სახით ერთმანეთს შეეჭიდა ორი სამყარო, სიცოცხლის ორი ფილოსოფია. ორი მსოფლშეგნება, სურვილი ადამიანის თავისუფალი ცხოვრებისაკენ და ამ სურვილის განწირულება. ეს ღრმად ტრაგიკული ბრძოლა საბოლოოდ მეფისტოფელის გამარჯვებით დასრულდა. არარაობის ბოროტმა სულმა წამოაჩოქა სიცოცხლისმოყვარული, გათავისუფლებული ადამიანი. მარცხდება გრეტჰენიც.

გრეტჰენი იბრძვის თავისი პიროვნების ჰარმონიული განვითარებისთვის თავისუფალი სიყვარულის უფლებებისთვის, უფლებებისთვის — იყოს დედა. ის ლახავს ოჯახური ცხოვრების „წმინდათაწმინდას“ და ფარულად უკავშირდება ფაუსტს. ფაუსტისადმი სიყვარულს ანაცვალებს ძმას, დედასაც კი, მაგრამ ჩქარა დგება დანაშაულის მძიმე წუთები. გრეტჰენს ატუსაღებენ, როგორც ბოროტმოქმედს, როგორც ოჯახური ცხოვრების შემრყვენელს... მას მიუსჯიან სიკვდილს. გრეტჰენს აქვს შესაძლებლობა გაიქცეს ციხიდან, განაგრძოს ამაყი, დამოუკიდებელი ცხოვრება. იგი ამოარჩევს სხვა გზას. სიყვარულის ცხოველმყოფელი გრძნობა გზას უთმობს რელიგიური მოვალეობის, „სინდისის“ გრძნობას, გრძნობას სინანულისას ნამოქმედარით. და გრეტჰენი მორჩილებით მიდის ჯალათის სამსხვერპლოზე. სიტყვა, რომელიც მოისმის ზეციდან Sie ist gerettet (შენდობილი ხარ), ადასტურებს გრეტჰენის მიერ ამოარჩეული გზის სისწორეს.

ამგვარად „თავხედობა“, სურვილი შეუცნობის შეცნობისა ფაუსტს და გრეტჰენს საკუთარ სიცოცხლედ დაუჯდებათ. ისინი მარცხდებიან პატრიციულ, მახინჯ გერმანულ სინამდვილესთან ბრძოლაში, ფაუსტი და საზოგადოების ყველა უბეში ძალა გადაეღობება მათ წინ. ს ი კ ვ დ ი ლ ი ა მ ა რ ც ხ ე ბ ს ს ი ყ ვ ა რ უ ლ ს.

გორკიმაც გვიჩვენა გულზვიადი, ამაყი ადამიანი, რომელიც განმარტოებით დგას ცხოვრების სიმუხთლესა და უკულმართობასთან ბრძოლაში. მიუხედავად ქალიშვილის სიმარტოვისა. ის მინც ამარცხებს თითქოს უძლეველ ძალებს მეფესა და სიკვდილს. მისი პიროვნება არ აჩვეულ ე ბ რ ი ვ ი ა, მაგრამ ამ არაჩვეულებრივში ყველაფერი უაღრესად ა დ ა მ ი ა ნ უ რ ი ა. ქალიშვილივით შეეძლო ემოქმედნა ყ ვ ე ლ ა ს, ვისაც ეყოფოდა გრძნობის მთლიანობა და ნებისყოფის სიმტკიცე. გორკის ხომ შეეძლო გოლიათად გამოეყვანა

ქალიშვილი! მაგრამ მაშინ ის დაკარგავდა კონკრეტობას, სიცოცხლეს, მიმბად-
ველობის ძალას, ის გადაიქცეოდა ადამიანობის აგან და ცლილ
არამიწიერ კატეგორიად, გადაიქცეოდა ადამიანის განყენებულ ნიშნად, და არა-
თვით ადამიანად, ჩვეულებრივ ადამიანად. გორკის სურდა სწორედ ეს ჩვეუ-
ლებრივი ადამიანი დაეყენებინა მომავლისთვის ბრძოლის დიად გზაზე. გორკი
თავისი ზღაპრით ჰიმნს უმღეროდა სიმამაცეს, გმირობას, თავდადებას. ის
მოუწოდებდა ადამიანებს ბნელ ძალებთან ბრძოლისაკენ. ის თითქმის მიმარ-
თავდა მათ: აი, შეხედე, ეს ქალიშვილი შენი სისხლისისხლთაგანი და ხორცი-
ხორცთაგანია, მიბაძე და მიჰყე მას, იბრძოლე უშიშრად და უკანდაუხვევლად;
და შენც მიაღწევ ბედნიერებას.

ზღაპარში ერთ ვნებაში — სიყვარულში თავმოყრილია ყველა წინააღმ-
დეგობანი ადამიანსა და საზოგადოებას შორის. ეს წინააღმდეგობანი ცხოვრე-
ბაში თითქო განკერძოებული და ერთობლივი სახით არსებობდნენ. სიყვარ-
ულში იგი გადაიქცა კოცონად, ერთ კონცენტრირებულ ძალად.

ქალიშვილის შეჯახება მეფესთან ერთეული სუბიექტის პიროვნულ გრძნო-
ბაზე აღმოცენებული პროტესტი როდია. იგი ავსებულა ადამიანური ცხოვ-
რების ობიექტური შინაარსით, მისი შეურიგებელი წინააღმდეგობებით. ქა-
ლი შვილისა და მეფის პირისპირბრძოლა ერთ გვარი
ალეგორული გამოხატულებაა პიროვნების თავისუფ-
ლებისათვის ბრძოლის უზარმაზარ პრობლემებისა.

ქალიშვილი საბოლოოდ გამარჯვებული გამოვიდა ამ ბრძოლიდან. ქალი-
შვილის სახით გაიმარჯვა სიყვარულმა, გაიმარჯვა სიცოცხლემ. სიკვდილი და
მიწიერი ძალები არაფერია სიყვარულის გრძნობასთან შედარებით. სიყვარული,
როგორც ტალღა ოკეანისა, ისე სპობს თავის გზაზე ყველა წინააღმდეგობებს.
გორკის ზღაპარი ტრიუმფია ადამიანისა, ტრიუმფია სიხარულისა, გამარჯვებისა.
ბედისწერაზე, ყველა ამქვეყნიურ და იმქვეყნიურ ძალებზე. გორკის ზღა-
პარი გამარჯვების პოეზიაა, გოეთეს „ფაუსტი“ კი და-
მარცხებისა.

და განა მარტოოდენ გოეთეს „ფაუსტი“! შექსპირის „რომეო და ჯულიე-
ტა“, აბატ პრეოს „მანონ ლესკო“, ფრ. შილერის „ვერაგობა და სიყვარული“,
ფლობერის „მადამ ბოვარი“, ლ. ტოლსტოის „ანა კარენინა“ — ყველგან იმარ-
ჯვებს სიკვდილი და მარცხდება სიყვარული, მარცხდება იმიტომ, რომ იგი ჩამ-
წყვდეულია ანტაგონისტური საზოგადოების საღტეებში, საზოგადოებისა,
რომელიც ტალახში სვრიდა წმინდაწმინდა და ნათელ გრძნობებს ადამიანი-
სას, რომელიც ახრჩობდა, სთელავდა, ცოცხლად მარხავდა ადამიანს.

მხოლოდ ჩვენთან, სტალინის გონებით განათებულ ქვეყანაში ამ მუდამ
ძველმა და მუდამ ახალმა გრძნობამ იპოვა თავისი ქეშმარიტი შინაარსი. სიყვა-
რულს ჩამოეფხიკა წლების განმავლობაში დაღეჭილი ჭუჭყი და ფარისე-
ლობა, იგი გათავისუფლდა შავი მანდილიდან და ხალასი, უშუალო მომხიბ-
ლავი სახით გამომზეურდა. სიყვარული გადაიქცა ფაქიზ, ამალღებულ გრძნო-
ბად, შეთანხმებული ოჯახური ცხოვრების, სულიერი ჰარმონიის შექმნის
წინაპირობად.

Нас

Не пои укрепляет тарабарщиной,

Надо
Обязать
И жизнь мужчин и женщин
Словом
Нас объединяющий
— «Товарищи» (ვ. მაიაკოვსკი — «Любовь»).

სიყვარულის მაღალი პოეტურობა დაფუძნებულია ქალისა და მამაკაცის თანასწორუფლებიანობაზე. სიყვარული ჩვენთან — ეს ორი გულამაყი, ბედნიერი ადამიანის გრძნობის, აზრის, მისწრაფების შეხამებაა. სწორედ ამ აზრით ამბობდა ლენინი — კომუნიზმი წარმოუდგენელია ცხოველმყოფელი სიყვარულის გარეშეო. საბჭოთა ეპოქის უნიკიერესი წარმომადგენელი პოეტი ვლადიმირ მაიაკოვსკი ლექსში „საიუბილეო“ სწერდა:

«Нынче
Наши перья
Штык
Да зубы вил,—
Битвы революции
Посерьезнее «Полтавы»
И любовь
Пограндиознее
Онегинской любви».

საბჭოეთში განხორციელდა სიყვარულის ის მაღალი, ის გმირული იდეალი, რომელზედაც ოცნებობდა გორკი ზღაპარში „ქალიშვილი და სიკვდილი“.

მოგონებანი

1910 — 911 წლის ზამთრის სეზონში ტფილისში დაარსდა სარეჟისორო საბჭო სამი რეჟისორ-მსახიობის შემადგენლობით; ესენი იყვნენ: ვლ. ალექსი-მესხიშვილი, ვალ. გუგია და ვალიკო შალიკაშვილი. ვ. შალიკაშვილი მოსკოვიდან რომ ჩამოვიდა, ზანის თეატრის გამგებობამ რეჟისორად მიიწვია საზაფხულო სეზონში თავისი მეუღლე ნატაშა ჯაფარიშვილით. ვ. შალიკაშვილმა ენერგიულად მოჰკიდა საქმეს ხელი და ხონში ჩინებულად წაიყვანა საქმე. ჩვენთან თამაშობდნენ: თამარ გოგოლაშვილი, შალვა ხონელი და კირილე მაჭარაძე. ამგვარად ხუთი პროფესიული მსახიობი ვიყავით და რა თქმა უნდა, ვ. შალიკაშვილს სეზონის წარმოება არ გაუჭირდა. კვირაში ორ წარმოდგენას ვდგამდით — შაბათობით და კვირაობით. აუარებელი ხალხი გვესურებოდა.

ხონისთვის ეს უკვე მეოთხე საზაფხულო სეზონი იყო, ხალხიც მიეჩვია წარმოდგენებზე. სიარულს. რეპერტუარიც სერიოზული გეჰქონდა. დავდგით „სამშობლო“, „ხალხი“, „დამარცხებულნი“, „ისმინე ისრაილ“, „პირველი მერცხალი“, „ეჭიმი შტოკმანი“, „უპატიოსნონი არ იბადებიან“, „ოჯახი“ — პირველი პიესა ვ. შალიკაშვილისა. „სიძე-სიმამრი“, „დედისერთა“, „ადვოკატთან“, „მელანიაჰ ოინები“, „დღენი ჩვენი ცხოვრებისა“, „ქოჩრიათი ტოროლა“, „ვაზაფხულის ნიაღვარი“. დაიდგა 14 წარმოდგენა — დეფიციტი იყო 11 მანეთი და 76 კაპ. სეზონი დავიწყეთ 1 ივნისს და დავამთავრეთ 15 აგვისტოს.

ვ. შალიკაშვილი ტფილისის დასში რეჟისორად იყო მოწვეული, ამიტომ 1 აგვისტოს წამოვიდა ხონიდან, რათა სეზონისთვის სამზადისი ჩატარებინა. ხონის სეზონი მე დავამთავრე.

1910 წელს 16 აგვისტოს ტფილისის დასი შეიკრიბა და დავიწყეთ რეპეტიციები. პირველი პიესა, რომელიც დამოუკიდებლად და სრულად ახალი მიზანსცენებით დადგა ვ. შალიკაშვილმა, იყო დავით ერისთავის „სამშობლო“. ვ. შალიკაშვილს უნდოდა სეზონი სხვა ახალი პიესით გაეხსნა, მაგრამ გამგებობამ უარი უთხრა, უსათუოდ „სამშობლოთი“ უნდა გაეხსნათ სეზონიო. იმ დროს ტრადიციად იყო გადაქცეული: ტფილისში ზამთრის სეზონი ყოველთვის „სამშობლოთი“ იხსნებოდა. ამ სეზონშიც ასე მოხდა. ვ. შალიკაშვილმა მოიწვია ი. ნიკოლაძე და იმის ხელმძღვანელობით შეასრულეს დეკორაციები და კოსტუმები ნოვაკმა და ლიანსკიმ. სუყველაფერი ახალი იყო პიესისათვის. ვ. შალიკაშვილმა დიდის ენერგიითა და სიყვარულით მოჰკიდა პიესას ხელი და კარგადაც დადგა. ეს პირველი დადგმა შალიკაშვილის ბრწყინვალე გამარჯვება იყო. ვ. შალიკაშვილი „სამშობლოს“ დადგმის შემდეგ იწამეს, როგორც რეჟისორი ამხანაგებმაც და საზოგადოებამაც. ბევრი კარგი წარმოდგენა დადგა ამ სეზონში ვ. შალიკაშვილმა. ის განსაკუთრებით სიყვარულით ეტანებოდა და სდგამდა ქართველ ახალგაზრდა ავტორებს, როგორებიც იყვნენ იმ დროს: შალვა დადიანი, ნ. შიუკაშვილი, ი. გედევანიშვილი, ტრ. რამიშვილი. „სამშობლოს“ დადგმამ პირდაპირ ფეხზე დააყენა ვ. შალიკაშვილი, როგორც რეჟისორი. მშვენიერი მიზანსცენები, დეკორაციები და კოსტუმები. საზოგადოება ამ დადგმით აღტაცებაში მოვიდა და პრესაც გულთბილად და სიყვარულით შეხვდა.

სეზონი გაიხსნა 1910 წ. 26 სექტემბერს.

„სახალხო ფურცელი“ სწერდა: „ბ — ნ შალიკაშვილმა დაგვანახვა „სამშობლოს“ დადგმით, რომ მას საქმე ესმის. შრომა უყვარს და თამაზად შეუძლიან საქმე წინ წასწიოს. მაყურებელის ყურადღებას იქცევდა ახალი დეკორაციები და ტანისამოსი. დეკორაციები მართლაც

ზღოვანურად იყო მოწყობილი. საზოგადოთ ტექნიკური მხარე წარმოდგენისა, მასიური სცენები ისე მოწყობილი, როგორც არასოდეს არა ყოფილა ქართულ სცენაზე. ამ შემთხვევაში მადლობის ღირსია ბ — ნი ვ. შალიკაშვილი. კარგები იყვნენ ნ. გვარამძე, გ. იშხნელი და ი. ევანიძე — შაჰის მსლებელთა რძლებში“.

ი. ევანიძე თამაშობდა შაჰის პირველ ვეზირს — ისრაფილს, ბრგე ვაჟაკს — ისმაილს — გ. იშხნელი, ალავერდის — კიდევ მე, სულ პატარა. ეს როლები პიესაში მეორეხარისხოვანია, მაგრამ შალიკაშვილმა კარგად გაანაწილა. მუშაობის დროს დიდი ყურადღება მიაქცია მათ და ჩვენც ძალიან სერიოზულად მივუდექით. მახსოვს ლადო მესხიშვილის სიტყვები: პიესა მშვენიერადაა დადგმული და ყველანი კარგად თამაშობენო, მაგრამ თქვენ სამნი, შეუღარებლები ხართო. ვ. შალიკაშვილის ღირსება, როგორც რეჟისორისა ისაა, რომ ეს პატარა როლები, წინა პლანზე წამოსწია და საზოგადოების ყურადღების ღირსად გახადაო.

მეორე პიესა, რომელიც შალიკაშვილმა დადგა იმ სეზონში, იყო ნიკო შიუკაშვილის ახალი ორიგინალური დრამა „სიმანინჯე“, რომელიც პირველად დაიდგა ტფილისის სცენაზე. ამ პიესაში ვ. შალიკაშვილმა ყველანი ახალგაზრდა მსახიობები გვათამაშა. უპირველეს ყოვლისა, მთავარი — სონიას — როლი სრულიად ახალგაზრდა მსახიობ ქალს გადასცა, რომელმაც იმავე სეზონში დაიწყო ჩვენთან მუშაობა, ეს იყო არცთა ლოლუა, არცთა ლოლუამ ეს როლი მართლა კარგა შეასრულა და ვ. შალიკაშვილიც, როგორც რეჟისორი, დიდი კმაყოფილი იყო. საზოგადოდ პიესა კარგად მოვამზადეთ და კარგადაც ვთამაშობდით.

ვ. შალიკაშვილი, ჯერ კიდევ ზაფხულში გვეუბნებოდა ხონში, რომ ჩემი მუშაობა, როგორც რეჟისორისა, ი. გედევანიშვილის „მსხვერპლით“ უნდა გამოჩნდესო. პიესა ხონში ჰქონდა და იქვე მუშაობდა პიესის მიზანსცენებას და დაგმანზე. ამიტომაც იყო, რომ „მსხვერპლი“ შემდეგისათვის შემოინახა და ძლიერ ეშინოდა მისი დადგმა. პიესაში მთავარ როლს ზალხი თამაშობს, და იმდროს თანამშრომლების, ე. ი. სტატისტების საკითხი, ქართულ თეატრში ძალიან მწვავედ იდგა. არავითარი საშუალება არ იყო, რომ რეჟისორს მასობრივ სცენაზე ეჭუშენა და რაიმე ხეიროანი გადაკეთებინა... ამიტომაც იყო, რომ სწუხდა და ამბობდა: აქტიორების საკითხი არ მაშინებს, მასაც რა ვუყოო. როლებზე თუ ფიქრობდა, მხოლოდ გიგო ტეტიაშვილის როლზე. ეს როლი ვ. გამყრელიძისთვის უნდოდა მიეცა, მაგრამ ლადომ ურჩია, გ. იშხნელს გადაეცია. მით უმეტეს, რომ ამ პიესაში მეორე გლეხის როლია, არა ნაკლები გიგოზე — გაბოს როლი, მოხუცი გლეხი, რომელიც უსათუოდ ვ. გამყრელიძის უნდა ეთამაშა. „მსხვერპლი“ დაიდგა პირველად 1910 წ. 19 დეკემბერს ტფილისში. როლები განაწილებული იყო ასე: გაბო მოხუცი გლეხი — ვ. გამყრელიძე, გიგო ტეტიაშვილი — გ. იშხნელი, საქო მიკიტანი — ვ. აბაშიძე, ბოქალუი — ი. ზარდალიშვილი, მისა — ნ. გვარამძე, ნატო — ნ. დავითაშვილი, სონა კნიაჟა — ოლ. ლეჟავა, კნინა ბარბარე — ელ. ჩერქეზიშვილი, მარამ — ნ. ჯავახიშვილი, სვიმონა — ი. ჟივიძე, მამისახლისი — ნ. ციციშვილი, თავადი ნიკო — ვ. გუნიან, თედო ბიჭი — ი. გრიშაშვილი, შაქრა დუქნის ბიჭი — ა. ალექსიძე.

ამ პიესის დადგმამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენს თეატრალურ ცხოვრებაში. ამ პიესის დადგმას პირდაპირ გადაჰყვა ვ. შალიკაშვილი, თვითონ არაფერს არ თამაშობდა, ჩაიკვა გლეხკაცის ტანსაცმელი და მთელი პიესის განმავლობაში ხალხში ტრიალებდა, რომ სცენაზე უხერხული მდგომარეობა არ შექმნილიყო. ეს პიესა ჩვენს დასში მშვენიერად განაწილდა და კარგადაც მიდიოდა. მსახიობებმა პიესა შეიყვარეს და ყველანი ხალხით თამაშობდნენ. განსაკუთრებით ვ. იშხნელი — გიგო ტეტიაშვილს, ვასო აბაშიძე საქოს, და ვ. გამყრელიძე — გაბოს. სამთავემ დაუფიქსარი სახეები შეჰქმნეს... მაყურებელი აღტაცებაში მოჰყავდათ თავიანთ მხატვრული თამაშით... გიგო ტეტიაშვილის როლი გ. იშხნელის საგვირგვინო როლად გადაიქცა. ამ როლის თამაშით გ. იშხნელი უტბად აიწია საზოგადოების თვალში, როგორც ოსტატე. ამ როლმა გაათამაშა და ჩქარაც შეიქმნა ყველასათვის საყვარელი და ნიჭიერი არტისტი. ვ. შალიკაშვილმა ამ სეზონში ძალიან ნაყოფიერად იმუშავა — როგორც რეჟისორმა და როგორც მსახიობმაც. ეს მისთვის პირველი სეზონი იყო, რომ დამოუკიდებლად მუშაობდა. საკვირველი ის იყო, რომ სცენაზე მუშაობის სტაჟი ვ. შალიკაშვილის დიდი არ ჰქონდა. სცენაზე მან პირველმა დადგა ქართულ ცეკვით, სიმღერით და ორკესტრით 1913 — 14 წლის სეზონში ი. გედევანიშვილის „სინათლე“, რომლის დადგმამაც დიდი გამოხმაურება ჰპოვა თეატრალურ საზოგადოებაში და დიდი მოწონებაც დაიმსახურა. პიესა ერთს სეზონში ოცჯერ დაიდგა, რაც ამ დროს არაჩვეულებრივი ამბავი იყო.


ვ. შალიკაშვილი, ქართული თეატრის მსახიობი შეიქმნა სრულიად შემთხვევით. ჯერ სწავლობდა რუსეთში. სწავლას მიაწვდებდა თავი, ჩამოვიდა და ქუთათურ ჩოხოსნების კამპანიას

შეუერთდა. ჩიცვა ჩოხა, დაუდგა თავის ნათესავ მიქელაძეებს ხონში მოურავად და მიჰყო ხელი ქეიფსა და ქალაღის თამაშობას. შეიქმნა ქუთაისის კლუბის მუდმივი წევრი. როგორც თვითონ მისგან გამიგონია, ერთხელ ქუთაისის კლუბში დიდი თანხა წააკო ქალაღში, სირცხვილით ხონში ვეღარ ჩასულიყო და ტყვია ეკრა გულში. თუმცა სცენა ახალგაზრდობიდანვე უყვარდა და შემთხვევით გამართულ წარმოდგენებში თამაშობდა ხოლმე ხონში როგორც სცენისმოყვარე, მაგრამ პროფესიულ აქტიურობაზე სრულიად არ ფიქრობდა. ქუთაისში ვ. შალიკაშვილმა გაიცნო მსახიობი ქალის ნატო ჯავახიშვილი, რომელიც ლადო მესხიშვილთან მუშაობდა. დაუმეგობრდა მას და მალე ცოლადაც შეირთო. ამგვარად ვ. შალიკაშვილს შემთხვევა მიეცა, რომ ქუთაისის სცენის კარები შეეღო და იქაურ მსახიობებს დამეგობრებოდა. ხშირად ესწრებოდა ხოლმე ქუთაისის დასის რეპეტიციებს. ერთ-ერთ რეპეტიციაზე ლადო მესხიშვილს ერთი მსახიობისგან მოუვიდა ბარათი, რომლითაც ატყობინებდა, რომ „ურთელ აკოსტაში“, რომელიც ბათუმში უნდა დაედგათ—დე-სილვას როლს ავადმყოფობის გამო ვერ ვითამაშებო. ლადოს უკვე აფიშა გაეგზავნა ბათუმში და თეატრიც აღებული ჰქონდა. „ურთელ აკოსტა“ დაედგა და დე-სილვას როლის შემსრულებელი მსახიობი კი არა ჰყვანდა. შემთხვევით სცენაზე ყოფილიყო ვ. შალიკაშვილი და ლადოს ეთხოვნა, დე-სილვას როლის თამაში იკისრე თუ გინდა დალუბვისაგან მიხსნაო. ვ. შალიკაშვილს უარი ვეღარ ეთქვა ლადოსთვის და დათანხმებულიყო. ლადოს გაეტარებინა საჩქაროდ რეპეტიცია და თან წაეყვანა ბათუმში. ლადოს მოსწონებოდა და ეთქვა: შეილო, შენი საქმე სცენააო: თუ იმუშავებ და არ იზარმაცებ, მშვენიერი აქტიორი გახდებიო. ვ. შალიკაშვილმა დაუჯერა ლადოს, და ამ დებუტის შემდეგ სცენას აღარ მოშორებია. ეს მოხდა 1902—1903 წლის სეზონში. მეორე წელსვე ვ. შალიკაშვილი, მოწვეული იყო ტფილისის დრ. დასში, სადაც რეჟისორად იყო ჩვენი საყვარელი პოეტი აკაკი წერეთელი. პირველად მთავარი როლი თამაშა აკაკიმ „პატარა კახში“ (გვიგის როლი). პატარა კახს მე ვითამაშობდი. ვ. შალიკაშვილი ტფილისის საზოგადოებას ძალიან მოეწონა და ძალიან მალეც დაწინაურდა. ნიჭიერი არტისტი იყო. ბუნებრივი და ამსთანავე ჰკვიანი. ჰქონდა მშვენიერი ხმა, საუცხოო დიქცია, როლის დამუშავება ხომ ჩინებულად იცოდა. ბევრი კარგი როლი ითამაშა ქართულ სცენაზე. მაგრამ დაუფიწყარია იმის ნათამაშევი დ. კლიაშვილის დარისპანი („დარისპანის გასაჭირი“); განსვენებული დავით კლიაშვილი აღტაცებული იყო ხოლმე მისი თამაშით, იმ ზომამდის ბუნებრივი და კლასიკური სახე შეჰქმნა დარისპანისა. ნატო ჯავახიშვილი დიდის ოსტატობითა და ბუნებრივად ასრულებდა კაროუნას. უბრალო სოფლის გოგოს თამაშობდა. მორცხეს, რომელიც საზოგადოებაში იზნევა და აღარ იცის ხელები სად წაიღოს და როგორ მოიქცეს. ცოლ-ქმარი ამ პიესაში დიდებულად თამაშობდა და მათ საზოგადოებაც აღტაცებაში მოჰყავდათ. რონელ სეზონშიც ნატომა და ვალიკო თამაშობდნენ იქ „დარისპანის გასაჭირი“ უსათუოდ იდგებოდა. ხონში ძალიან უყვარდა ხალხს ეს პიესა. და ხშირად თამაშობდნენ. რომელიმე სამ მოქმედებთან დრამას, უსათუოდ „დარისპანს“ მიუღვამდით ხოლმე. ჩვენი ხონის მუდმივი სუფლიორი და სცენისმოყვარე ილია მამფორია ყოველთვის ოსიკოს თამაშობდა და ამიტომ სუფლიორობა მე მიხდებოდა, სუფლიორიც, ბუდკაში სიცილი ამიტყდებოდა და შალიკაშვილი დარისპანის როლში ჩიბუხს ეწეოდა, და მომპაუტყვებდა ხოლმე, ნუ იციანი და სიტყვები მოგვაწოდო. კიდევ მშვენიერად თამაშობდა თავისივე პიესა „უნიადგონში“ ნესტორის როლს. რომელშიც ანსახიერებდა ცნობილ ენამახვილ სერგია ერისთავს. იგი ნამდვილი ტიპიური სერგია ერისთავი იყო. კარგად თამაშობდა უკვე სეროიზული არისტოკრატის მაქსის როლს ნ. შიუკაშვილის პიესა „ციცინათელაში“. რა მიხერა-მოხერა, როგორი თავის დაქერა!.. ნამდვილი გამოკვეთილი, ნაცხოვრები, ძველი არისტოკრატი! დაუჯერებელი იყო გეფიქრა ეს ის აქტიორია, რომელიც დარისპანს თამაშობსო!.. აგრეთვე მშვენიერად თამაშობდა პოლონიუსს „ჰამლეტში“, კენტს — „მეფე ლირში“.

ვ. შალიკაშვილი ხშირად ასრულებდა დრამატიული მოხუცების როლებს, და კარგადაც თამაშობდა, მაგრამ უფრო უკეთესად ეხერხებოდა სახასიათო, კომიკური როლები. ვალ. გუნია ხშირად იტყოდა ხოლმე: ვ. შალიკაშვილი კარგად თამაშობს დრამატიულ როლებს. მაგრამ კომიკურ სახასიათო როლებში შეუდარებელიაო. ის ნიჭიერი არტისტი და რეჟისორი. ამასთანავე კარგი დრამატურგიც იყო. მის კალამს ეკუთვნის იმ დროისთვის მშვენიერი და ნიჭიერად დაწერილი პიესები, რომლებიც ძალიან ხშირად იდგმებოდა და სარეპერტუარო პიესებად იყვნენ მიჩნეულნი, როგორებიც იყო: „უნიადგონი“ კომ. 4 მ. „გადაჭრილი მუხა“ დრ. 4 მ. „უპრეტენზიო კომედია“ — კ. 3 მოქ. „ოჯახი“ — დრ. 5 მოქ. ერთი პიესის სახელი არ მახსოვს. ჰქონდა ნათარგმნი აუარებელი პიესები: რიშკოვის „პირველი მერცხალი“, „ხა-

ლნი“ პლატონისა, „კეისარი და კლეოპატრა“ შოუსი, „ფეიქრები“ ჰაუპტმანისა ლადოსთან. ერთად, „უან და მადლენა“ მირბოსი ლადოსთან ერთად. „მოსაქმენი“ ველიჩკოსი — შალვა. დადიანთან ერთად. მრავალი კომედია და ვოდევილი, „სატანა“ გორდონისა, „ივანობის ლამე“ ზუდერმანისა.

ამხანაგებს გვიკვირდა, ეს კაცი როგორ ასწრებდა ამდენ მუშაობას?! მსახიობობდა და თითქმის ყოველ წარმოდგენაში თამაშობდა, რეჟისორობდა და სდგამდა აუარებელ პიესას. და ამასთანავე ლიტერატურულ შრომასაც ეწეოდა. სთარგმნიდა პიესებს და ორიგინალურსაც სწერდა. და მერე როგორი ადამიანი?.. რომელსაც უყვარდა მთელი დღეობით რესტორანში. ყოფნა, ღვინის სმა და ხშირად გათენებამდის კლუბში ქალაღდის თამაში. ძალიან ხშირად დიღით პირდაპირ კლუბიდან წამოსულს, უძილოს, რეპეტიცია ჩაუტარებია, თეატრიდან წასულა რესტორანში, რესტორანიდან თეატრში მოსულა და პიესაში როლი შეუსრულებია. და ასე ანადგურებდა წლიდანწლამდის თავის ნიჭსა და ჯანმრთელობას და აკი ველარ გაუძლო ამდენ დროსტარებასა და ღამეების თევას. 1915 — 16 წლის სეზონში ბაქოში იყო მიწვეული ქართულ დრამაში რეჟისორად. ერთერთი ქეიფის დროს გაცივდა და ავად გახდა. ბაქოს ქართველმა საზოგადოებამ ძალიან მოუარა და დიდი დახმარებაც გაუწია. ამის შემდეგ უკვე დაავადმყოფდა, იყო ხან სოხუმში, ხან აბასთუმანში. როგორც კი გამოკეთდებოდა, თავის ჩვეულებას არ ივიწყებდა. ამ ავადმყოფობის შემდეგ სამიოდ სეზონი კიდევ იმუშავებ ჩვენთან, ბოლოს ავადმყოფობა მოერია, თავის სოფელ აკეთში (გურია) მოისურვა წასვლა და იქ გარდაიცვალა 23 იანვარს 1919 წელს.



ილია ხონელი

გასულ წელს შესრულდა 80 წელი ნიჭიერი პუბლიცისტისა და პოლიტიკური მოღვაწის ილია ხონელის (ბახტაძის) დაბადებიდან, ხოლო მიმდინარე წელს სრულდება 40 წელი მისი გარდაცვალებიდან.

ილია ლუკას ძე ბახტაძე მწერლობაში ილია ხონელის ფსევდონიმით ცნობილი, დაიბადა დაბა ხონში (ამჟამად ქალაქი წულუკიძე) 1859 წელს, 25 მაისს ძველი სტილით. პირველდაწყებითი განათლება მიიღო იქვე სამრევლო სკოლაში. ილია ბახტაძის მამის ოჯახი თავის დროზე კულტურულ ოჯახად ითვლებოდა ხონში და მის ზოგიერთ წევრებთან უშუალო კავშირი და მიმოსვლა ჰქონდათ იმდროინდელ გამოჩენილ მწერლებსა და მოღვაწეებს. მამის ოჯახთან მწერალ-მოღვაწეთა სიახლოვემ ილიაში თავიდანვე მოუშადა ნიადაგი მწერლობისადმი სიყვარულს, მწერლობით გატაცებას. ილია ხონელი ახალგაზრდობიდანვე გაიტაცა თავისი ეპოქის პროგრესიულმა იდეებმა და მოწაფეობიდანვე იწყება მისი ბრძოლა ცხოვრების მაშინდელ ღუხჭიერი პირობების წინააღმდეგ.

ჯერ კიდევ ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის მე-6 კლასის მოწაფე იყო, როცა იძულებული გახდა სწავლისთვის თავი დაენებებინა გიმნაზიის დირექტორთან უსიამოვნების გამო. ეს იყო პირველი მწარე გაკვეთილი, რომელიც მას ცხოვრებამ მისცა. სწავლას მოწყურებული ახალგაზრდა ილია 1875 წელს შედის პეტერბურგის უნივერსიტეტში თავისუფალ მსმენელად. ის არ კმაყოფილდება მარტო ლექციების მოსმენით უნივერსიტეტში და ეწევა დამოუკიდებელ თვითგანვითარებას. ბევრს კითხულობს და ღრმად ეცნობა თავისი დროის პროგრესულ ლიტერატურას.

ილია ხონელი სტუდენტობის დროსვე იწყებს ქართულ-რუსულ გაზეთებში წერას. მისი პირველი ქართული წერილი დაიბეჭდა, 1881 წელს გაზეთ „დროებაში“. პეტერბურგიდან კორესპოდენტობას გზავნიდა აგრეთვე გაზეთ „კავკაზში“.

21 წლის ახალგაზრდა ილია ხონელი 1881 წელს დაბრუნდა პეტერბურგიდან და მიწვეულ იქნა სამუშაოდ გაზეთ „კავკაზში“, რომელსაც მაშინ რედაქტორობდა ცნობილი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე დავით ერისთავი. შემდეგ მუშაობს ილია ჭავჭავაძის „ივერიაში“, ნიკო ნიკოლაძის „ნოვოე ობოზრენიეში“, ილია ჭყონიას „მოამბეში“ და სხვაგან. მისი ხანმოკლე პუბლიცისტური მოღვაწეობა მეტად ნაყოფიერი იყო. ილია ხონელს ეხერხებოდა ჩვენი ცხოვრების უარყოფითი მხარეების გამოჭერა და გამათრახება. სატირისა და იუმორის მომარჯვება კიდევ უფრო აძლიერებდა მისი წერილების ძალას.

სხარტად და მკვეთრად დაწერილი მისი ფელეტონები მდიდარი მხატვრული შედარებით, ანალოგიებითა და პარალელებით ყუმბარასავით სკდებოდა მაშინდელ საზოგადოებაში. განსაკუთრებული ინტერესით ამუშავებდა ის ისტორიულ ლეგენდებსა და არაკებს.

ილია ხონელის დამსახურება ქართული პუბლიცისტური ლიტერატურის წინაშე მეტად მნიშვნელოვანია. შემთხვევითი როდია, რომ მის პუბლიცისტურ ნიქს მაღალ შეფასებას აძლევდნენ ილია ჭავჭავაძე, ნიკო ნიკოლაძე და სხვები. ასეთი მაღალი შეფასება მან ღირსეულად დაიმსახურა.

მწერლის სიცოცხლეში, 1896 წელს გამოიცა მისი ესკიზების და ეტიუდების კრებული. მასვე ეკუთვნის აგრეთვე ცალკე წიგნად გამოცემული მონოგრაფია ერეკლე მეფესა და კრწანისის ბრძოლაზე, რაქისა და შორაპნის მაზრის გლეხთა ეკონომიურ მდგომარეობაზე და სხვა.

ილია ხონელი გარდაიცვალა 1900 წელს და დასაფლავებულ იქნა თავის სამშობლო ხონში.

ილია ხონელის მდიდარი პუბლიცისტური მემკვიდრეობა ჯერ კიდევ არ არის ჯეროვნად შესწავლილი. საქორა მისი რჩეული ნაწერების შეგროვება და გამოცემა. **ბ. ბ.**

გამოუცდელი მასწავლებელი და მის. ზანდუკელის წიგნი.

„ქართული ლიტერატურის მეთოდის“, სახელგამის სასწ.-პედაგოგ.
სექტორის გამოცემა, 1930 წ.

მის. ზანდუკელის შრომა „ქართული ლიტერატურის მეთოდის“ მეორედ გამოიცა. ამ შრომით ავტორი მიზნად ისახავს დაეხმაროს ახალგაზრდა, გამოუცდელ მასწავლებელს ქართული ენისა და ლიტერატურის საერთო კურსის სწავლებაში. განზრახვა მეტად კეთილი და კარგია, მაგრამ, სექცეა. მან მიზანს მიაღწიოს ასეთი მეთოდური სახელმძღვანელოთი, რომელშიც დაშვებულია მთელი რიგი მეთოდური და პოლიტიკური ხასიათის შეცდომებისა. ავალაპარაკოთ ფაქტები.

„ქართული ლიტერატურის მეთოდის“ 256 გვერდს შეიცავს. მასში ლაპარაკია სწავლების მეთოდისაზე, სისტემაზე და სხვა, მაგრამ არსად არ არის ამ საკითხებზე მოყვანილი მარქს-ენგელს-ლენინს-სტალინის აზრები, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მე-12 გვერდზე ერთ პატარა აღნიშვნას ლენინის სიტყვიდან, რომელიც მან წარმოსთქვა რუსეთის ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის სრულიად რუსეთის III ყრილობაზე, აქაც ციტატის არაზუსტ გადმოცემასთან ერთად, ადგილი აქვს თარიღის არასწორად აღნიშვნასაც. როგორც ცნობილია, ლენინმა ეს სიტყვა წარმოსთქვა არა 1920 წ. 4 ოქტომბერს (როგორც ზანდუკელი ამბობს), არამედ 1920 წლის 2 ოქტომბერს.

მ. ზანდუკელი ეხება ლიტერატურის სწავლების თითქმის ყველა საკითხს — მეთოდის, სახელმძღვანელოებს, პოლიტექნიკურ სწავლებას და სხვა, მაგრამ არსად არ ხმარობს გამოთქმას: მარქსისტულ-ლენინური, როგორც, მაგალითად, მარქსისტულ-ლენინური მეთოდი, მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობა და სხვა. ნაცვლად ამისა ის ხმარობს გამოთქმას მარქსისტული. საკვირველია. რად უფლის გვერდს ზანდუკელი იმ უდიდეს ლიტერატურულ მემკვიდრეობას სახალხო განათლების დარგში, რომელიც დაგვიტოვა ამხანაგმა ლენინმა. არ არსებობს ისეთი საკითხი, რომელსაც პროლეტარიატის ეს გენიოსი არ შეხებოდეს და სახელმძღვანელო მითითებანი არ მოეცეს განათლების ყოველ საკითხზე, როგორცაა: სასკოლო სისტემის, სახელმძღვანელოების სა თხები, მასწავლებლის როლი, პროგრამებისა და მეთოდის საკითხები და სხვ. ლენინმა და სტალინმა მარქს-ენგელსის მოძღვრება განათლების დარგშიც განავითარეს და აიყვანეს ახალს. უმაღლეს საფეხურზე. ყველა ამის შემდეგ, რა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ისეთ ნაშრომს, რომელშიც ლენინიზმის საფუძველზე არ იქნება საკითხები გაშუქებული. ამ სახელმძღვანელოში მარქსისტული მეთოდიც ისე უფერულადაა გადმოცემული, რომ აზრის გაბუნდოვანებასაც იწვევს. მაგ. მე-19 გვერდზე ავტორი წერს: „... მარქსისტული მეთოდის მომარჯვებასთან ერთად. ხშირად სწავლების პროცესში არსებობს მნიშვნელობა აქვს იმ ხერხებს და საშუალებებს, რომლებითაც მასწავლებელი სარგებლობს თავის ყოველდღიურ მუშაობაში“. რა გამოდის აქ? ის, რომ მასწავლებელი მარქსისტულ მეთოდს იყენებს სკოლაში, ხოლო ყოველდღიურ მუშაობას კი წარმართავს არამარქსისტული მეთოდით. და ამას არსებით მნიშვნელობა აქვს. ლაპარაკობს ავტორი. ჩემის აზრით, ის, ვინც თავის ყოველდღიურ მუშაობაშიც არ ხელმძღვანელობს მარქსისტულ-ლენინური მეთოდით, სკოლაშიც ვერ იქნება კარგი საბჭოთა პედაგოგი.

გაკვირვებას იწვევს ისიც, რომ ზანდუკელი არსად არ ხმარობს გამოთქმას ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია, არამედ შემოუღია ახალი ტერმინი: თანამედროვე რევოლუცია. ან უბრალოდ, რევოლუცია, რაც — ვერც ერთი, ხშირად წინადადებაში გაუგებრობასაც იწვევს (ამაზედ ქვემოდ). და მეორეც — წარმოადგენს იმ მითითებათა დარღვევას და უგულ-

ვებელყოფას, რომელიც ამ საკითხზე მოგვცეს ამხანაგებმა: ი. სტალინმა, ს. კიროვმა და ა. უდანოვმა; „არ შეიძლება ჩვენს სოციალისტურ რევოლუციას რუსეთში ვუწოდებდეთ მართო ოქტომბრის რევოლუციას, — მას უნდა ვუწოდებდეთ და განვმარტავდეთ როგორც სოციალისტურ რევოლუციას, საბჭოთა რევოლუციას“ (იხ. კრებული „ისტორიის შესწავლი-სათვის“. გვ. 60, საქ. კ. პ. (ბ) ტ. კ. პარტგამომცემლობა, 1937 წ.), როგორც ვხედავთ, ამხანაგები: სტალინი, კიროვი და უდანოვი მიგვითითებენ, რომ ოქტომბრის რევოლუციას უნდა ვუწოდებდეთ არა მართო ოქტომბრის რევოლუციას, არამედ მას უნდა ვუწოდებდეთ და განვმარტავდეთ, როგორც სოციალისტურს, საბჭოთა რევოლუციას. ზანდუკელი კი სიტყვა ოქტომბერსაც არ ხმარობს. მთელი წიგნის სიგრძეზე, როგორც ვთქვი, ის სწერს თანამედროვე რევოლუციას ან რევოლუციას. ეს კი, მეორეს მხრივ, იწვევს გაუგებრობასაც. მაგ. ავტორი მე-36 გვერდზე წერს: „...რევოლუციის პირველ ხანებში. როგორც პროტესტი-ე. წ. სიტყვიერების თეორიის სწავლება (ისევე, როგორც გრამატიკისა) სკოლებში სრულ-ებით უარყოფილი იქნა“, ბუნებრივია, მოწადეს ან ახალგაზრდა გამოუცდელ მასწავლებელს დაებადება აზრი: რომელი რევოლუციის? რომელი რევოლუცია იყო რომ გრამატიკას გა-მოუცხადა ბრძოლა და განდევნა სკოლიდან? და თუ გავყვებით ქვეით და ჩაიხიდავთ ხსე-ნებული წიგნის 209-ე გვერდზე, დავინახავთ, რომ ეს ყოფილა ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია, ან, ზანდუკელის გამოთქმით, თანამედროვე რევოლუცია (!). ამავე გვერდზე ვნა-ხავთ. ზანდუკელის „უდიდეს აღმოჩენასაც“. აი რას წერს იგი; „თანამედროვე რევოლუციამ პირველ ხანებში სკოლის საერთო ნგრევის პროცესში წერით ვარჯიშობებს გრამატიკასთან ერთად სასტიკი ბრძოლა გამოაღწეა, სკოლიდან განდევნა“. საინტერესოა, სად წაიკითხა, ლენინის ან სტალინის რომელ შრომაში ან საქ. კ. პ. (ბ) რომელი ყრილობების რეზოლუცი-ებში ამოიკითხა ავტორმა, რომ ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციას ბრძოლა გამოეც-ხადებოდა გრამატიკისთვის და ისიც სასტიკი ბრძოლა, რომ მას გრამატიკა გაედევნოს სკო-ლიდან?!

ეს არის ავტორის მიერ შეთხზული აბდაუბდა და პირდაპირ კილისწამება ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციაზე. ასეთსავე ყალბ აზრს იმეორებს ავტორი 1905 წლის რევი-ლუციაზეც. მაგ. 222 გვ. ის წერს: „1905 წლის რევოლუციამ საშინელი ბრძოლა გა-მოუცხადა გრამატიკის სწავლებას და თითქმის განდევნა ის სკოლის პრაქტიკიდან“.

სხვა საკითხია სამოქალაქო ომის პერიოდში სწავლის შეფერხება, ის ვარემოება, რომ სწავლება მაშინ სათანადო უზრუნველყოფა არ იდგა, რომ განსაკუთრებით მუშაობაში ნაკლი იყო (რასევე არა ერთხელ მიუთითებდა ამხანაგი ლენინი ლენინაჩარსკის) და, რასაკვირველია, ამის გამო წერილი ვარჯიშობებს ნაკლები ყურადღება ექცეოდა. ამას ჰქონდა ადგილი. მაგ-რამ იმის თქმა, რომ 1905 წლის რევოლუციამ და ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუცი-ამ საშინელი ბრძოლა გამოუცხადა გრამატიკას და სიტყვიერების თეორიას, მეტისმეტია, პატივცემული ავტორი!

ავტორს მე-41 — 42 და 43 გვერდებზე განმარტებული აქვს ტროპის ერთერთი სახე — მეტაფორა; აქ მოყვანილია მეტაფორის ასეთი მაგალითები:

მახვილი ყური, მახვილი გონება, მახვილი ენა, მახვილი ნიჭი, რკინის გული და სხვა. ესენი აქ წარმოდგენილია. როგორც წმინდა მეტაფორული მაგალითები. სინამდვილეში კი მოყვანილი მაგალითები მეტაფორული ეპიტეტებია, და რამდენადაც შესწავლაში წიგნის სა-ტიტულო ფურცელზე აწერია „სახელმძღვანელო უზღვევის სასწავლებლებსათვის“, ასეთი განმარტება მეტაფორისა არამცადაარამც საკმაო არ არის, მაგრამ აქ ეს არ გვაინტერესებს. ჩვენ გვინდა შევიჩერდეთ იმ დავალებაზე, რომელსაც ავტორი ახალგაზრდა გამოუცდელ მას-წავლებელს სთავაზობს მოწადეებისთვის სახლში სამუშაოდ მისაცემად. მაგ. დავალება № 2. გვ. 43. აღწერეთ ამინდის შეცვლა ბუნებაში: (ნეტავი სხვაგან სად იცვლება ამინდი? — დ. პ.). მოღუშული, ღრუბლებით მოცული წყვილია ცა, ჭექა-ქუხილი, ნიღვარი, წყალდი-დობა, აღიდებული მდინარეები. ხევები, მცხოვრებთა ქონების წალეკვა, სახლების დანგრევა, ადამიანთა მსხვერპლი. წყალდიდობის შემდეგ თანდათან დაშვიდება. დაწყნარებული ცხოვ-რების კალაპოტში ჩადგობა (თუ დაწყნარებული იყო კალაპოტში ჩამდგარი იქნებოდა! — დ. პ.). კვლავ შემოქმედებითი მუშაობით ცხოვრების გაგრძელება. აწერეთ თანამედროვე რევოლუცია, იხმარეთ ეგვევ სიტყვები“. აი ასეთი დავალება უნდა მიეცეს მოწადეს, ავ-ტორის აზრით მეტაფორაზე სავარჯიშოდ. საინტერესოა, როგორ მოიქცევა არა თუ მოწადე, არამედ თვით ავტორი, რომ მას მიეცეთ დავალება და ვუთხრათ: აიღეთ წყვილი, ნიღვა-რი, მოსახლეობის ქონების წალეკვა — ერთის მხრივ და მეორეს მხრივ თანამედროვე რევი-ლუცია (ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია) და შემიდგინეთ აქედან მეტაფორები?

შგონია, რომ ცულ ნიშანს მიიღებს. განა შეიძლება ასეთი აბდა-უბდური დავალების მიცემა მოწაფისთვის?

მიხეილ ზანდუკელს ეკვი ეპარება პუშკინის კლასიკოსობაში, ამასთანავე პუშკინის მიერ შემოქმედებას ის აცხადებს გაბატონებული კლასის (მეფისდროინდელი რუსეთის) საკუთრებად. აქ კი საჭიროა მოვიყვანოთ ცოტა გრძელი ამონაწერი. 188 გვ. ავტორი სწერს: „ძველი სკოლა, მიუხედავად იმისა, რომ ის სხვადასხვა დაწესებულებაში მომუშავეთა, კანცელარიის მოხელეების კადრებს ამზადებდა, საქმის ქაღალდების შედგენის ჩვევის გამოუმუშავებასაც კი ყურადღებას სრულებით არ აქცევდა. ამ გარემოებას ძველი სკოლის მესვეურნი იპით ხსნიდნენ, რომ საქმის ქაღალდის სტილი გააფუჭებს, გარყვნის ბავშვის ენობრივ გემოვნებას, მიღებული ლიტერატურული ენის სტილს დააკნინებსო. მათი შეხედულებით, ბავშვის ენა უნდა განვითარებულიყო მხოლოდ კლასიკური მწერლობის ენისა და ლიტერატურული შემოქმედების ნიმუშებზე (ასეთ კლასიკოს მწერლებად ისინი ძველ მწერლებს სთვლიდნენ. ყველაასათვის ცნობილია, რომ არამც თუ დაბალი და საშუალო სკოლის ენისა და ლიტერატურის პროგრამა, აჩამედ უნივერსიტეტისაც-კი ძველი რეჟიმის უკანასკნელ წლებამდის ძნელად თუ სცილდებოდა პუშკინისა და გოგოლის).

აღნიშნული გარემოება ექვს გარეშეა, ნაწილობრივ მაინც ხსნის ჩვენს მიერ დასმულ საკითხს. გაბატონებული კლასის ენა, გემოვნება, ტრადიცია, ფსიქო-იდეოლოგია, რომლითაც გაუღწეველი იყო ძველი კლასიკური ლიტერატურა გაბატონებული კლასის შეხედულებით ბავშვის აღზრდისა და განვითარების ძირითადი საფუძველი უნდა ყოფილიყო“. განა სწორი არის ეს? სხვა შეცდომებს გარდა, რომელსაც აქ ადგილი აქვს, ყურადღებას იქცევს ავტორის ასეთი მიდგომა პუშკინისადმი; გარდა ამისა, თურმე ძველი კლასიკური ლიტერატურა (პუშკინი, გოგოლი) გაუღწეველი ყოფილა დრომოქმედი გაბატონებული კლასის ფსიქო-იდეოლოგიით.

სხენებულ სახელმძღვანელოში ავტორის მიერ პირდაპირ გალანძვლილია ჩვენი საბჭოთა პედაგოგები და უნივერსიტეტდამთავრებული ახალგაზრდობა, მაგ: მე-20 გვერდზე ავტორი სწერს: „როდესაც მეთოდის წინააღმდეგ მასწავლებლებიც ილაშქრებენ, ეს ჩვენთვის გაუგებარია. ასეთი გარემოება საბაზს ვეაძლევს ვიფიქროთ, რომ ეს მასწავლებლები რუტინით არიან დაძლეული, ან თავისი მოქმედებით კმაყოფილნი, ვიწროდ მოხაზული წრის იქით არაფერს ხედავენ. მათ არა აქვთ თვითკრიტიკის უნარი, არ უნდათ ახალი გაიცნონ, გაიგონ და სხვისი გამოცდილებით ისარგებლონ და, თუ სხვისი გამოცდილება უკეთესი აღმოჩნდა, ახალს, უკეთესს გზას მიჰყვანენ. ეს მხოლოდ შიშია „მეტი“ შრომის შიში ახალის წინაშე და „სხვა არაფერი“. განა სწორია ეს?

ამ წერილის ავტორი ყოფილი მასწავლებელია, მას 8 წლის განმავლობაში უმუშავებია საბჭოთა სკოლაში, მაგრამ ამის მსგავსს ჩვენს პედაგოგთა კორპორაციაში ადგილი არ ჰქონია. ავტორი რომ ზოგიერთ მასწავლებელზე, როგორც გამოწაკლისზე, ლაპარაკობდეს, კიდევ სხვა, მაგრამ მას აუღია სახელობითი ბრუნვის მრავლობით რიცხვში მასწავლებლები და ლაპარაკობს, ეს მასწავლებლები რუტინით არიან დაძლეული (აღმათ, არ ესმის ავტორს რას ნიშნავს რუტინა!). ვიწრო წრის იქით არაფერს ხედავენო, თვითკრიტიკის უნარიც არ აქვთო, შიშით არიან შეპყრობილნი შრომისა და ახალის წინაშეო. განა მეტი საძაგებელი სიტყვების მოძებნა შეიძლება? ვეკითხები საქ. განსახკომს, ნუ თუ ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 22-წლის თავზე ასეთი მასწავლებლების ხელში ჩვენს მომავალი თაობის აღზრდის საქმე? მგონია, განსახკომი არ დაეთანხმება მ. ზანდუკელს!

პროფ. ზანდუკელი მე-60 გვერდზე აყენებს ასეთს საკითხს, 1) „აუცილებელია თუ არა მასწავლებელმა ჯგუფში მხატვრული ნაწარმოების შესწავლას წინასწარი მომზადებული საუბარი წაუმძღვაროს?“ და უპასუხებს უარყოფითად, არაო?! „თანამედროვე სკოლაში ყოველი ნაწარმოების წინ წინასწარი შესავალი საუბრის გამართვა, ვფიქრობთ ძველი ტრადიციის ნაშთია, ანგარიშმიუცემელი ხარკია ძველი სკოლისადმი“.

ჩემის აზრით, ზანდუკელი აქაც სასტიკად ცდება. აუცილებლად! უნდა წაუმძღვაროს შესწავლებელმა წინა საუბარი; სწორედ ეს შედის მის მოვალეობაში, მით უმეტეს, საშუალო სკოლაში. რაც კარგი იყო ძველ სკოლაში, იმას ვიღებთ, ხოლო ცუდს უარყვავთ. ამ სიტყვებში ვერ დავეთანხმებით ავტორს.

ავტორი ლაპარაკობს, რომ ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებში სტუდენტებმა არ იციან წერა, სახვენი ნიშნების სათანადო იდგილას დასმაო და სხვა. მაგ. 209 გვ. ის სწერს: „...უმაღლეს სასწავლებელში სტუდენტის დაწერილს კითხულობთ, გეგონათ, რომ დაწყებითი სკოლის მოსწავლის გადაწერილია. მართალია, მასში ხშირად აზრიც იყო, მაგრამ ხელი, ორთო-

„გრაფია, სასვენი ნიშნები ხანდახან პირდაპირ საანეკდოტო ხასიათს ატარებდნენ“. ეს ნაწილობრივ მართალია, მაგრამ საანეკდოტო უფრო ის არის, როდესაც პროფესორი უშვებს გრამატიკული ხასიათის ისეთ შეცდომებს, როგორც ზანდუკელის წიგნშია დაშვებული. აქ არ დავასახელებთ სასვენი და სხვ. ნიშნების უსწოროდ ხმარების მაგალითებს ხსენებული წიგნიდან, ეს ტექნიკურად შეუძლებელია. გადაათვალიეროს თვით მკითხველმა ზანდუკელის წიგნი და ამაში დარწმუნდება, მაგრამ მოვიყვანო ერთ მაგალითს: ავტორი ერთი-მეორისგან ვერ არჩევს სიტყვას-კომპანიას და კამპანიას. მთელი წიგნის მანძილზე კამპანიის ადგილას ის ხმარობს კომპანიას. მაგ., ავტორი სწერს (149 — 151 გვ.) „კომკავშირი და თესვის კომპანია, კომპანიასთან დაკავშირებული კედლის გაზეთის რიცხვი, კომპანიასთან დაკავშირებული კედლის გაზეთი, კომპანიის საერთო საზოგადოებრივი მნიშვნელობა“ და სხვა. წიგნში შეხვედებით ასეთ გამოთქმებსაც: ტყუილი დროის დაკარგვა, მცხოვანი, და სხვა. და ამის შემდეგ რა გასაკვირია, როცა მოწაფე ასეთს სახელმძღვანელოს აიღებს ხელში, ის ცუდად წერას მიეჩვიოს.

დაბოლოს, უნდა ითქვას, რომ — როდესაც ჩვენი ზოგიერთი პროფესორი წერს, მათი ნაწერი მისაბამი მაგალითი უნდა იყოს: გამართული, სწორი ენისა და გრამატიკის მხრივაც, მით უმეტეს დაბალი სკოლისთვის, სადაც მოწაფეს ყოველი დაბეჭდილი ჰქმნარიტებად მიაჩნია. რა ქნას მასწავლებელმა, როცა ის ერთჯერ ელაპარაკება და სახელმძღვანელოში კი სხვას ზედება?

მ. ზანდუკელის წიგნი მოითხოვს სერიოზულ გადამუშავებას და გაწმენდას მთელი რიგი შეცდომისგან.

დავ. ჭიუჭილი

კ. ნადირაძე — „ლექსები“

„ვეფხისტყაოსანი“, 1939 წ.

კოლაუ ნადირაძე საკუთარი ლირიული ხმის მქონე რევოლუციამდელი პოეტია. სამწე-როლო ასპარეზზე გამოვიდა ქართველ სიმბოლისტების ჯგუფთან ერთად, როგორც „ცისფერი ყანწელი“. მას თავიდანვე ჰქონდა ამ ჯგუფის პოეტებისგან განსხვავებული თვისებები. ის არასოდეს არ ყოფილა გატაცებული სიტყვების უნგლიორობით, წარსულის მემკვიდრეობის უარყოფლობით, თავისთავის განდიდების მანიით. ნადირაძე პესიმისტურად იყო განწყობი-ლი მაშინდელი ცხოვრების სინამდვილისადმი, მაგრამ მისი პესიმიზმი არ იყო მეტრო-ლი ხასიათისა და ის ზოგჯერ მიდიოდა დაცემულობის განწყობილებამდე.

პოეტის რევოლუციამდელი განწყობილების დამახასიათებელია ლექსი „გაზაფხული თბილისში“, რომელიც დათარიღებულია 1920 წლით. ამ ძლიერ ლირიულ და პოეტურ სამ-კაულეზით მიდიარ ლექსში პოეტი შესჩივის ქალაქს:

„სამშობლოს მკერდზე ამოქარგული,
შენს თბილ მუხლებზე დავაგდო მინდა.
მე ეს პატარა მტკივანი გული
შენს თბილ მუხლებზე დავაგდო მინდა.
მიმიღე მაინც! გადაიბურდა,
ჯვარცმად გადიქცა ჩემი ცხოვრება,
და მე სიწმინდე ისე მომწყურდა,
როგორც დამწყვდეულ არწივს კლდეები.“

ეს განწყობილება სრულიად არ არის ცისფერყანწელური, რომლის ჯგუფის პოეტ-მ-ჯიცი მენშევიკების ცალკე ლიდერებს დიფირამბებს უმღერდნენ.

აი როგორი უიმედობისა და გოდების მწვავე გრძნობებს განიცდის პოეტი მენშევიკურ „სამოთხეში“:

„დღეს, როცა მინებს წვიმა ასკდება
და ტინის მიბურღავს მწუხარე ფიქრი,
ჩემი ოცნებაც გედვიით კვდება
და იფარება სათუთი ფიფქით.
კრწანისის ახლოს ყოდა გედი,
ქარი მიწამდე აწვენდა ლერწამს.
სხვა რა მოხდება იმაზე მეტი,
რაც დღემდე გულის ფიცარსა ლეწავს.“

მენშევიკური ცხოვრებით გულმოკლული პოეტი, თავის სიმბოლისტიკური წარმოშობისა და მსოფლმხედველობის გამო, უკეთეს მომავალს ვერ სტკვრებდა და ისევ წარსულში იყურებოდა, იქ პოულობდა ზოგიერთ ხელმოსაკიდებელ საგნებსა და მოვლენებს. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგაც პოეტი სწრაფად არ გათავისუფლებულა. ასეთ განწყობილებასგან. ერთ ძლიერ ლირიულ ლექსში, რომელიც დათარიღებულია 1922 წლით, ასეთი განწირული სულისკვეთებით მოსთქვამს თავის შვილების მიმართ:

„მე აღარ შემწევს მეთი ურჩობა,
სისხლით აიესო თვალის უბები,
ტუბერკულოზით დედა გეხრჩობათ
და ბნელ ქუჩებში მეც ვილუპები.“

ჩვენი ქვეყნის მეურნეობისა და კულტურის აყვავებამ პოეტში თანდათანობით გარდატეხა მოახდინა:

„უკვე დასრულდა ჩემში ყოველი
და შემომქმედი განმტკიცდა ნება.
ჯარ უზენაეს მადლით სოველი
და სიყვარულმა შვა შთაგონება.
მშვიდობა თქვენდა, გულის გამგმირო,
წარსულ დროების მიძვე სევდებო!
მეც შინდა მერგოს საქმე საგმირო
და თქვენ გიმღეროთ, მშობელო მთებო,
კმარა, გათავდეს! არა ღირს, ვფიცავ,
ამდენ ცრემლებად ის, რაც დავკარგე,
შე ისევ ისე ცხოვრებას ვიცავ,
ცხოვრებავ კმარა, რაც ტანჯვა მარგე.“
(„ოქროყანელი“)

ეს ლექსი დეკლარაციული ხასიათისაა, რაც პოეტს შემდგომი შემოქმედებით გამართლებული აქვს. პოეტი ნელა, მაგრამ თანდათანობით შეეზარდა თანამედროვე ეპოქას და აღიფხვრა მისი სიხარულითა და აღფრთოვანებით. ასეთი განწყობილებით აქვს მას დაწერილი უკანასკნელი დროის მთელი რიგი ლექსები; განსაკუთრებით აღსანიშნავია „განახლებული ქუთაისი“, „ბოტეს“, „კოლხეთის საღამოები“, „ორფეოსის სიმღერა“, „შოთა რუსთაველს“ და სხვა.

„განახლებულ ქუთაისში“ პოეტი აღფრთოვანებულია თანამედროვე ეპოქის დიადი სიწმინდეებით და მისი, უკვე იმედებით აღსავსე განწყობილება ასეა გამოთქმული:

„მე შენი ცქერით ვარ ბედნიერი
და აღტაცებით გული მევესება,
რომ გაქრა ძილი შენი წნეირი,
რომ გაქვს ახალი სახის იერი
და მშენებლობის ბგერა ძლიერი
ჩემს ფიქრს და გრძნობას ჯალერსება.“

კიდევ უფრო ძლიერად და რელიეფურად სჩანს ეს სიხარული და აღფრთოვანება „ორფეოსის სიმღერაში“, რომელიც დაწერილია კოლხეთის მშენებლობის ფონზე, სადაც ასეთ ადგილს ვხვდებით:

„სხვა სასწაულის მოწამე ხდება,
წყალმა დაფარა კოლხეთის მხარე;
მქ თითქოს მიწა ზელახლა ჩნდება
და მწვეც პირველად ამოდის ცაზე.“

კოლაუ ნადირაძე ძლიერი ხმის მქონე პოეტია. მომავალში პოეტმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს თანამედროვე ეპოქის აქტუალურ თემებს.

მკითხველი

1940 წ. იანვრიდან „ჩვენი თაობა“ გამომდის
ყოველთვიურად

ხელის მოწერის პირობები:

წლიურად	18 ზან.
ნახევარი წლით	9 „
ცალკე ნომერი	1 მ. 50 კ.

შელის მოწერა მიიღება სახელგამის ყველა მაღაზიაში, სოიუზპეჩატის
რაიბიუროებში და სახელგამის პერიოდ-სექტორში.

აბაქაძისის მისამართი.

ტფილისი, მაჩაბლის ქ. № 13, მწერალთა კავშირი.

№ 553 1 3. 50 3.

№ 553
1940



Ежемесячный журнал
„**ЧВЕНИ ТАОБА**“
Сахелгами 1940 г. Тбилиси